სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი | გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან | პარასკევი, 15 სექტემბერი | 1995 № 58 (196) | ფასი 1000 მან ან ფარდი კუპ

ბათუმი — სელტიკი 2:3 (1:2)

ბათუმი: ბალაძე, მალანია (დ. მახარაძე 46), შანიძე (ფუტკარაძე 86), მუჯირი, შეყილაძე, თორლაშვილი, მ. მახარაძე, მაჭუტაძე, ტულუში, უჯმაჯურიძე (კანტიძე 46), მინდაძე

სელტიკი: მარშალი, ბოიდი, მაკინლი, ვატა, ჰიუზი, სტიუარტი, ოდონელი, დონელი (ფულკონერი 87), უოკერი (გრანტი 90), ტომი, კოლინზი

გოლები: მაჭუტაძე (11), ტომი (24, 88), დონელი (42), ტულუში (68)

გაფრთხილება: დონელი, შეყილაძე

მსაჯი: ამეტ კლეინი (ისრაელი)

თასების ფასი. მეთექვსმეტეფინალი. 14 სექტემბერი

ბათუმი 2
სელტიკი 3



თემურ ტულუშისა (მარჯვნივ) და პაატა მაჭუტაძისა ნაღვანი ანდრეას ტომმა წყალს გაატანა

მამუკა ძვანტალიანი, ბათუმიდან, თამაშის წინ

გლაზგოელები ბათუმში 13 სექტემბერს, 17 საათზე ჩამოფრინდნენ, სასტუმრო „ცისარტყელაში“ დაბინავდნენ, მოისვენეს და სტადიონს მიაშურეს სავარჯიშოდ. ესენი რომ ამ ყოფაში იყვნენ, ზუსტად იმ დროს ბათუმელებს ვარჯიში ჰქონდათ. მასპინძელი კლუბის ხელმძღვანელებმა, ყველა ფეხბურთელი ჯანმრთელადაა და თამაშისთვის მზად არისო, გვითხრეს. ეგაა, შეყილაძე ცოტა ჭუსლს იტკიებს, მაგრამ ხვალამდე მოუშუშდებაო, დასძინეს...

რვა იყო დაწყებული, ბათუმის სტადიონს სელტიკელები რომ მოადგნენ. სტუმრებმა ერთი საათი ივარჯიშეს, საკმაოდ ინტენსიურად. სტადიონზე მყოფი ბათუმელი გულშემატკივრები მათ ტანით შეხვდნენ და ტანითვე გააცილეს, რამაც შოტლანდიელები აშკარად გააკვირვა და აშკარადვე ნასიამოვნები დატოვა. ვარჯიშის შემდეგ „სელტიკის“ ლიდერს ჯონ კოლინზს გამოველაპარაკე, უფრო სწორად, ამის კითხვაღა მოვასწარი: ყოველივე იმის შემდეგ, რაც ჩვენზე დაიწერა, საქართველო ალბათ მართლა ჯოჯოხეთი გეგონათ. როგორია თქვენი პირველი შთაბეჭდილებები? — ამას არაფრით ველოდით, ასეთ მიღებას ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდით. ჯერჯერობით ყველაფერი კარგადაა — მოკლედ მოგიგო კოლინზმა და ავტობუსს მიაშურა.

მერე და სხვათაგან ესეც შევიტყვეთ: „სელტიკი“ მეკარე ბონერის, მაკსტეის და ჰოაიდონკის გარეშე ჩამოვიდა. ბოლო ორის ჩამოუსვლელობის მიზეზი ტრავმა, ბონერის საქმე კი ასე ყოფილა: სტუმარ კლუბს ახლახან შეუძენია ინგლისელი მოთამაშე მარტინი, რომელიც უცხოელთა სათვალავში მეოთხეა ირლანდიელი ბონერის, გერმანელი ტომის და ალბანელი ვატას შემდეგ; თანაც კარგად ათამაშებული „სელიტკის“ აქამდე მეორე მეკარე, ადგილობრივი მარშალი, ჰოდა, ბონერს „მეოთხე ზედეტობამ“ მოუწია.

ერთიც, რომ დაგაინტერესებთ: ნაქებ შოტლანდიელ გულშემატკივართაგან ბათუმში მხოლოდ ორი ჩანს, ესენიც თურმე თურქეთში ისვენებდნენ და იქიდან ჩამოსულან ტაქსით. სხვებმა, ეტყობა, ყველაფერი დაიჯერეს, რაც შოტლანდიურ პრესაში იბეჭდებოდა...

ფეხბურთი ლოგიკური თამაშია

ალბათ ბევრმა თქვა, „სელტიკი“ ისედაც არაფერი ყოფილა, „ბათუმს“ უკეთ უნდა ეთამაშაო. ჩვენი აზრით, „ბათუმმა“, რისი თამაშიც გუშინ შეეძლო, ის ითამაშა. ენა არავის მოუბრუნდება იმის სათქმელად, რომ ზღვისპირელებმა ცოდნა ან მონდომება დაკლეს შოტლანდიელებთან ბრძოლას, უბრალოდ, ფეხბურთი ლოგიკური თამაშია. ასეთი მაგალითი მოვიყვანოთ: შეიძლება „სელტიკი“ მერვეკლასელებში სამოსანია, მაგრამ მეოთხეკლასელებში ოთხოსანზე მეტი იცის. რაც შეეხება იმას, რატომაა „ბათუმი“ მხოლოდ მეოთხეკლასელი, ეს მთლიანად ქართული ფეხბურთის პრობლემაა და არა საკუთრივ აჭარელებისა. კლასიდან კლასში თანდათან გადადიან, ნიჭიერები ორ-სამ წელიწადს ერთში მოილევენ ხოლმე. კი ბატონო, ბათუმელები დაცვაში ცდებოდნენ, უხეშადაც, მაგრამ განა სწორედ ძლიერებისგან არ იწვრთნებიან?! რაიმე რომ ისწავლო, ჯერ ხომ უნდა შეგეშალოს, ჰოდა, შეეშალათ. ისიც მართალია, რომ ბოლოს ქართველებს დაღლა დაეტყოთ, ისიც, რომ შეტევაში, მის დასკვნით ფაზაზე უკეთ შეიძლებოდა თამაში, მარტო ტერიტორიული უპირატესობით და შორიდან დარტყმებით ხომ ვერ გახვალ ფინს. ამას გამოცდილება და მუშაობა სჭირდება. გუშინ კი სასიამოვნო იყო, რომ ზღვისპირელთა მონდომებამ გლაზგოელები თითქმის მთელი მეორე ტაიმის განმავლობაში საკუთარი საჯარიმოს მიდამოებში მიაჯაჭვა. კარგი იყო ანგარიშის გათანაბრების ჟინი და ტულუშის საუცხოო გოლი. თავლში გეცემოდათ შეტევისას ცალკეული, ინდივიდუალური ოსტატობით შესრულებული ეპიზოდები. თამაშის ორგანიზაციით კი „სელტიკი“ აშკარად გვჯობდა.

ანგარიში ქართველებმა გახსნეს. მე-11 წუთზე მაჭუტაძის დარტყმული რიკოშეტით ჩაუშვა მარშალის კარში. გლაზგელებმა 24-ე წუთზე გაათანაბრეს, თუმცა მანამდე ერთი-ორ ეპიზოდში უკვე შეიმჩნეოდა „ბათუმის“ დაცვაში შეუვსებელი სივრცეები. ანგარიში კი გერმანელმა ანდრეას ტომმა გაქვითა: 24-ე წუთზე ბათუმელ მცველს ბურთი აეჭრა და ნაცვლად მოგერიებისა, ტომის ბალაძესთან პირისპირ გაყვანა გამოუვიდა. გერმანელმა შანსი არ გაუშვა. ტაიმის ბოლოს დონელმა მეორე გოლიც გაიტანა.

მეორე ტაიმი, ზემოთაც ვთქვით, ქართველების დიდი უპირატესობით წარიმართაო. დაჭინებამ შედეგი გამოიღო. 68-ე წუთზე ტულუშმა მეტოქის საჯარიმოში პასი მიიღო და იქ მისმა პირადმა ოსტატობამ გაიბრწყინა — 2:2. თითქოს თამაში ფრედ უნდა დამთავრებულიყო, რომ მსაჯის ბოლო სასტვენამდე ორი წუთით ადრე „ბათუმის“ დაცვა კვლავ უხეშად შეცდა და ანდრეას ტომმა ამ შეხვედრაში მეორედ გაიტანა.

ორი კვირის მერე გლაზგოში საპასუხო თამაშია. ალბათ ბათუმელებისთვის წლევანდელ ევროთასებზე ეს ბოლო შეხვედრა იქნება, მაგრამ, უეჭველია, რომ ქართველები იმ თამაშის კარგად ჩასატარებლად ძალსა და ღონეს არ დაიშურებენ.

ისე, ნეტა ვცდებოდეთ და...

იუვე. ბორუსია და სხვა ჩემპიონები...

გუშინწინ ჩემპიონთა ლიგის თამაშები დაიწყო. ყველაზე საინტერესო მატჩი დორტმუნდში გაიმართა, სადაც მასპინძლები, გერმანიის ჩემპიონები ტურინის „იუვენტუსმა“ 3:1 დაამარცხა. ერთი გოლი ალესანდრო დელ პიერომ გაიტანა.

იხილეთ მეორე გვერდი

საქართველოს თასის მეთექვსმეტეფინალი. 11 სექტემბერი. საპასუხო მატჩები

ზუგდიდი — მაღაროელი 3:0 (1:2)
ტორპედო — უნივერსიტეტი 4:1 (6:0)
დილა — მრეტები 2:1 (2:1)
შევარდენი 1906 — კახეთი 1:2 (0:0)
მეტალურგი — გურია 5:2 (3:2)
ალგეთი — შ.ს.ს. აკადემია 0:1 (0:2)
კოლხეთი 1913 — დურუჯი 5:0 (4:2)
მარგვეთი — რწმენა 6:2 (1:0)
დინამო-2 — არმაზი 2:1 (1:1)
ივერია — ანჯელი 4:0 (2:3)
ეგრისი — იბერია 8:2 (1:1)
სიონი — მერანი-91 0:0 (1:1)

საქართველოს ჩემპიონატი

I ტურიდან. 12 სექტემბერი

დინამო 3:0 ეგრისი

დინამო: ზოიძე, კალაძე, ლობჟანიძე, დიდავა, მაჭავარიანი (გამცემლიძე 76), გოგიჩაიშვილი, კობიაშვილი, იაშვილი, კერძევაძე, ცქიტიშვილი, დემეტრაძე (ხორხელი 60)

ეგრისი: ბულია, გოგუა, ახალაია, ბენდელიანი, ნაჭყებია, ნოდია, შალამბერიძე, რუსია (იოსელიანი 75), ნულაია, თვარაძე (თორია 48), დანელია (ბუკია 60)

1:0 გოგიჩაიშვილი (17), 2:0 გოგიჩაიშვილი (40 პ), 3:0 კერძევაძე (70)

მსაჯი: ვ. ჩოჩიშვილი (თბილისი)

სეხნიები ისევ ლიდერობენ

მოჭადრაკე ქალთა მსოფლიო პირველობის საზონათშორისო ტურნირზე, კიშინიოვში, 9 ტურის შემდეგ ლიდერობდნენ ქეთევან არახამია და ქეთევან კახიანი — 7-7 ქულა. მე-9 ტურში არახამია დაუზავდა ნინო გურიელს, კახიანი — ნანა იოსელიანს. ლიდერებს კვალში მიყვებიან იოსელიანი — 6,5 ქულა, გურიელი, ალისა გალიამოვა (უკრაინა), ალისა მარიჩი, ბოიკოვიჩი (ორივე — იუგოსლავია) და სვეტლანა მატვეევა (რუსეთი) — 6-ა. მირანდა ხორავას 5 ქულა აქვს, ნინო ხურციძეს, მაია ლომინეიშვილს, ნატო ეძგვერაძეს და ნათია ჯანჯღლავას — 4-4.

სათამაშო დარჩა 4 ტური.

თენგიზ ბიოლრგაძე

დიდი ლიგა, დიდი თამაშები

ჩემპიონთა ლიგის პირველი ტური, დორტმუნდი — იუვენტუსი. გერმანიის და იტალიის ჩემპიონთა შეხვედრა წინა დღიდანვე ევროპული ტელეარხების ერთ-ერთი მთავარი თემა იყო. ახალი ამბების ყოველ გამოშვებაში აჩვენებდნენ, როგორ ჩაბრძანდა „ბებერი ქალბატონი“ დორტმუნდის აეროპორტში, რას ამბობდნენ სახელდახელო ინტერვიუებში ერთნაირ კოსტიუმებში გამოწყობილი მწვრთნელები და ფეხბურთელები. მასპინძლები, რომელთა რიგებშიც ოთხი ყოფილი იუვენტუსელი კოლერი, ჟულიო სეზარი, მიოლერი და რიიტერი გამოდიან, თავიანთი ქვეყნის ახალდაწყებულ ჩემპიონატში ჯერ-ჯერობით ვერ ბრწყინავენ. ხუთ თამაშში „ბორუსიამ“ ორი მოიგო, ერთი წააგო და ორიც ფრედ ითამაშა. მდგომარეობა მეხუთე ტურში „ზანკტ პაულთან“ სტუმრად გამართულმა — 3:0 გამოუსწორა და მეოთხე ადგილზე გადასვა, თორემ ურიგო სტარტით გუნდის ხელმძღვანელები და გულშემატკივრები ერთობ შეფიქრიანებულნი იყვნენ. იტალიის ჩემპიონს კი, რომელიც თავის სერია A-ში ორი ტურის მერე პირველ ადგილზეა, ორივე წამყვანი თავდამსხმელი ფაბრიციო რავანელი და ჯანლუკა ვიალი აკლდა. შეხვედრა მასპინძლებისთვის მეტისმეტად სასიკეთოდ დაიწყო. პირველივე წუთზე წინა ოთხშაბათს საქართველოს ნაკრების კარში პირველი გოლის ავტორმა ანდი მიოლერმა საჯარიმოს მისადგომებიდან გაიტანა. „იუვენტუსს“ ანგარიშის გასათანაბრებლად სულ 11 წუთი დასჭირდა, მიქელე პადოვანოს უზადო და ლამაზი თაურით წონასწორობა აღდგა — 1:1. 37-ე წუთზე „მილანში“ წასული რბერტო ბაჯოს შემცვლელმა, ჯერაც ამომავალმა იტალიელმა ვარსკვლავმა ალესანდრო დელ პიერომ იურგენ კოლერი მოატყუა და დორტმუნდელთა მეკარისგან მარცხენა ცხრიანში გაიტანა. „ბორუსიასაც“ ჰქონდა ერთი დიდებული შანსი ანგარიშის გასათანაბრებლად, მაგრამ ჰაიკო ჰერლიხმა ცარიელ კარში ვერ შეაგდო. 69-ე წუთზე კონტემ მარცხნიდან ჩაწოდებული ბურთი კიდევ ერთი ულამაზესი თაურით ბადეში მოათავსა. სულ ბოლოს „იუვემ“ მეოთხეც გაიტანა, მაგრამ მსაჯმა თამაშგარედ მიიჩნია.

ლიგის მესამე ჯგუფში ოთხშაბათს მხოლოდ ბრწყინვალე გოლები გადიოდა. „სტიაუამ“ „ლაზიო რეინჯერსს“ უმასპინძლა. საფინალო სასტვენამდე ხუთი წუთით ადრე კუთხურიდან ჩაწოდებულს დანიელ პრიდანმა დაახლოებით საჯარიმოდან ზაზიდან ნახევარბრუნით ცაციათი გაუჩერებლად დარტყა და იშვიათი სილამაზის, თამაშში ერთადერთი გოლი გაიტანა. გლაზგოელები უძლიერესი შემადგენლობით იყვნენ. მოედანზე გასკოინიც ვიხილეთ, ბრიან ლუდრუპიც, ალი მაკოისტიც, ენდი გორამიც... შომენტები შოტლანდიელებსაც ჰქონდათ, თუმცა იმდენი არა, რამდენიც ბუქარესტელ არმიელებს. რაკი გასკოინი ვახსენეთ, გეტყვით, რომ იტალიიდან შოტლანდიაში გადასულმა ინგლისელმა ვარსკვლავმა ამასწინათ ცარცივით თეთრად შეღებილი თმები კვლავ გაიმუქა. და კიდევ: ფრანგმა მსაჯმა ალან სარმა მოედნიდან ორივე გუნდს თითო მოთამაშე — ალან მაკლეირი და დომინან მილიტარუ გაუძევა.

მეორე ჯგუფში ნორვეგიის „რუსენბორგი“ ვარშავაში „ლეგიას“ ეწვია და 1:3 წააგო. 63-ე წუთზე თავისივე წაქცევისთვის დანიშნული პენალტი იაკობსენმა გაიტანა, მაგრამ მერე პოლონელების გალაღების დრო დადგა. პიშმა ორჯერ და სტანეკმა ერთხელ გაუტანეს ჩრდილოეთელებს. „სპარტაკი“ ბლექბერნში ჩავიდა და იქ ინგლისის ჩემპიონს „ბლექბერნ როვერსს“ მოუგო. ინგლისელების თამაში ძირითადად ფეხბურთელების გულით კი ბიჭობაზე, ჯანმრთელობაზე და მონდომებაზე იყო აწყობილი, რისთვისაც დაისაჯნენ კიდეც. დაცვაში მჭიდროდ ჩამჯდარმა და კონტრშეტევაზე ჩასაფრებულმა რუსებმა ელვისებური კომბინაციით 41-ე წუთზე იურანს გაატანინეს და გაიმარჯვეს.

მეოთხე ჯგუფში მადრიდის „რეალი“ მიქაელ ლაუდრუპის გარეშე ამსტერდამს ჩავიდა და „აიაქსთან“ დამარცხდა 1:0. „გრასჰოპერმა“ კი შინ „ფერენცვაროშთან“ დაცვაში შეცდომები დაუშვა და სამი ქულა უნგრელებს უბოძა — 0:3.

პირველი ჯგუფის „ნანტს“, რომელიც „პორტუს“ მასპინძლობდა, თამაშამდე რამდენიმე საათით ადრე ნახევარი გუნდი მოეწამლა. ეან კლოდ სიუდომ რაღაცნაირად მოახერხა თერთმეტი მოთამაშის შეგროვება და... საუცხოოდაც ათამაშა. „პორტუს“ კართან უამრავი მომენტი შეიქმნა, მაგრამ გოლი არ გასულა. კიეველი გულშემატკივარი კი, რომელიც უკრაინის ეროვნული გუნდის თამაშებზე არ დადის თვით იტალიის ნაკრებთანაც კი, „დინამოს“ და „პანთინაიკოსის“ შეხვედრაზე ასი ათასამდე მივიდა და ძლიერაც გაუხარდა, მათმა გუნდმა ბერძნებს 1:0 რომ მოუგო.

პაპუნა კედია

ჩემპიონთა ლიგა. I ტური 13 სექტემბერი

„ა“ ჯგუფი

ნანტი (საფრანგეთი) — პორტუ (პორტუგალია) 0:0
დინამო (კიევი, უკრაინა) — პანათინაიკოსი (ათენი, საბერძნეთი) 1:0
კასოვსკი (61)

„ბ“ ჯგუფი

ლეგია (ვარშავა, პოლონეთი) — რუსერბორგი (ნორვეგია) 3:1
პიში (54, 73), სტანეკი (69); იაკობსენი (63)
ბლექბერნ როვერსი (ინგლისი) — სპარტაკი (მოსკოვი, რუსეთი) 0:1
იურანი (41)

„გ“ ჯგუფი

დორტმუნდი (გერმანია) — იუვენტუსი (ტურინი, იტალია) 1:3
მიოლერი (1); პადოვანო (12), დელ პიერო (37), კონტე (69)
სტიაუა (ბუქარესტი, რუმინეთი) — გლაზგო რეინჯერსი (შოტლანდია) 1:0
პრიდანი (85)

„დ“ ჯგუფი

აიაქსი (ამსტერდამი, ჰოლანდია) — რეალი (მადრიდი, ესპანეთი) 1:0
ოვერმარსი (14)
გრასჰოპერი (ციურიხი, შვეიცარია) — ფერენცვაროში (უნგრეთი) 0:3
ლისტეში (61), ვინჩე (81, 90)

უეფას თასი 13 სექტემბერი

ფარენსე (პორტუგალია) — ლიონი (საფრანგეთი) 0:1
ჟიული (6)
გლენგონი (ჩრდ. ირლანდია) — ვერდერი (ბრემენი, გერმანია) 0:2
კარდოსო (60), ვიერი (89)

უეფას თასი

სპარტაკ-ალანია 1:2 ლივერპული

12 სექტემბერი. ვლადიკავკაზი.
44 000 მაყურებელი

სპარტაკ-ალანია: ხაპოვი, პაგაევი (დერკაჩი 46), გორლუკოვიჩი (კორნიენკო 81), შელია, ჯიოევი, თეორაძე, იანოვსკი, თედეევი, კასიმოვი (ტიმოფეევი 46), კანიშჩევი, ყაველაშვილი

ლივერპული: ჯეიმსი, ჯონსი, პარკენსი, ბეი, რიიტი, რადოკი, მაკმანამანი, კოლიმორი (ფოულერი 79), თომასი, ბარნსი, რედნაპი.

გოლები: 1:0 კასიმოვი (21), 1:1 მაკმანამანი (33), 1:2 რედნაპი (52)

გაფრთხილება: რადოკი (13), პარკენსი (24), თედეევი (58)

მსაჯები: ა. არელი, ბ. პუდეევნი, გ. შარტინი (საფრანგეთი)

ძრწოდე კავკასო, ლივერპული მოვიდა!

ვლადიკავკაზის სტადიონი „ურალმაშთან“ და „დინამო-გაზოვიკთან“ თამაშებზე გადაჭედილი და „ლივერპულთან“ ხომ სანთლით საძებარი გახდა ბილეთი, რომლის ფასი 50-დან 100 ათას რუბლამდე მერყეობდა. „შავ ბაზარს“ არ ვგულისხმობ — საბილეთო ჯიხურებში ედო ასეთი ფასი, მაგრამ რა სანაღვლო სტადიონის გავსება იყო, როცა მარტო მეზობელმა ყაბარდომ 30 000 ბილეთი ითხოვა! ეს კი არა, როგორც მატჩის წინ თქვეს, ვიღაც ჯარისკაცმა გროზნოდან 20 ბილეთი მოითხოვაო! მოკლედ, ამ დღეს ვლადიკავკაზის ცენტრალურ სტადიონზე, წესით 38 000 კაცს რომ იტევს, ალბათ 50 000-მდე გულშემატკივარი იჯდა, ზოგი თავის, ზოგი სხვის ადგილზე, ზოგიც — კიბეზე. მხოლოდ ერთადერთ კაცს ეკავა ორი ადგილი. არ იფიქროთ, გალაზოვი, რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელი ან ვინმე ძვირფასი სტუმარი იქნებოდაო. ერთი „უბრალო“ ლივერპელელი გულშემატკივარი გახლდთ, „ბიგ ჯონს“ რომ ეძახიან და 26 წელია, „ლივერპულის“ მატჩი არ გაუცდენია. ამ ბრიტანელ „გარგანტუას“ ცალი ბარკალი ერთ სკამზე ედო, მეორე — მეორეზე.

მატჩის წინ ინგლისელთა მთავარმა მწვრთნელმა რიი ევანსმა თქვა: ჩემმა თანაშემწემ რომგეიტსმა „სპარტაკის“ რამდენიმე მატჩის ვიდეოჩანაწერი ჩამომიტანა და ამით დავსაკვენი — გუნდის მთავრი კოზირი კოლექტიური თამაში უფროა, ვიდრე ინდივიდუალური. შეკრული გუნდი ჩანს, მაგრამ „ლივერპელი“ ახლა ჩინებულ ფორმაშია და რაც კი რამ საუკეთესო გაჩნია, ამ მატჩში აჩვენებსო. მართალია, იან რაში დაგვიშავდა, მაგრამ კოლიმორი ჩინებულ ფორმაშიაო...

სიტყვამ მოიტანა და, კოლიმორზე: ეს ლამის ორმეტრიანი ზანგი ჯეელი ინგლისის ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე ძვირადღირებული მოთამაშე გახდა: სეზონის წინ რიი ევანსი სპეციალურად გაემგზავრა სენტ-ლუისის კუნძულებზე, სადაც კოლიმორი ისვენებდა და „ნოტინგემ ფორესტის“ ფორვარდს „ლივერპულში“ გადასვლა შესთავაზა 8,5 მილიონ სტერლინგად! ამაზე კოლიმორს ბევრი აღარ უფიქრია, რაკიღა „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელმა ალექს ფერგიუსონმა მას ენდი კოული არჩია და ამით შეურაცხყოფილმა ევანსს თანხმობა განუცხადა. წელს თვალი არ მიდევნებია, როგორ თამაშობს კოლიმორი ინგლისის ჩემპიონატში, მაგრამ თუ ვლადიკავკაზში ნათამაშებით ვიმსჯელებთ, „ლივერპულს“ ფული წყალში გადაუყრია! ეს ჩემი სუბიექტური აზრია, მაგრამ ამ აზრის თავი და თავი მურთაზ შელიაა! რაც ჩვენებურმა კოლიმორს იმ მატჩში დღე აყარა, არ ვიცი, რას შეიძლება შეედაროს. თავით ყველა ბურთი მოუგო, პრაქტიკულად არცერთხელ მოატყუებინა თავი და ხანდახან თავსაც მიანებებდა და შეტევებშიც ძალზე სასარგებლოდ ერთვებოდა. პირველი ტაიმის მიწურულს მისი თაური ხარიხამ მოგერია, შელიას პასები კი მეტოქის საჯარიმოში მუდამ ხიფათს ქმნიდა. შელიაზე საუბარს აქ იმით დავამთავრებ, რომ იგი ამ დღეს მარცხენა მცველად მოგვევლინა, თანაც კოლიმორი მიაბარეს და, როგორც გითხარით, ისე გაუხადა საქმე, ევანსმა გაოცებულა კიდეც.

ამ თამაშზე ასეთი პათოსით იმიტომ ვწერ, რომ უპირველესად ისა მსურს, ჩვენებურებს არ დაეკარგოთ ღვაწლი, რაკიღა „სპორტ-ეკსპრესმა“ შელიას ამ მატჩში 6,5 ბალი დაუწერა, კოლიმორი 6 ბალად შეაფასა, იანოვსკი კი 7-ად. ამნაირი დაუნახობა მართლაც განსაცვიფრებელია.

ახლა კი უშუალოდ მატჩზე. იგი სპარტაკელთა შეტევებით დაიწყო. ინგლისელები სამი ცენტრალური მცველით თამაშობდნენ, გასაკვირი იყო ცნობილი თავდამსხმელის ჯონ ბარნსის უკან დახევა — იგი დაცვას უფრო ეხმარებოდა. მაკმანამანი კი ჩინებული საყურებელი იყო: ასანთის ღერებივით სუსტ ფეხებზე მდგომი თავდაუზოგავად იბრძოდა მინდვრის ყველა მონაკვეთზე, ხოლო როცა საშუალება მიეცემოდა, კონტრშეტევებისას ჩინებული დრიბლინგითა და სწრაფი გარღვევებით სახიფათოდაც მოქმედებდა. ვლადიკავკაზელთა იერიშებმა ბოლოსდაბოლოს ნაყოფიც გამოიღო, ერთ-ერთი შეტევისას კანიშჩევი სახიფათოდ გაიჭრა კარისკენ, მაგრამ რაიტმა, რომელმაც ძირითადად უხეშობით და მეტოქეებთან თუ მსაჯთან კამათით დამამახსოვრა თავი, ფეხი გამოსდო. მეგონა, მსაჯი გააძევებს-მეთქი, მან კი ყვითელი ბარათიც არ უჩვენა. მაგრამ ეს ჯარიმა მაინც გარდასახა გოლად ამ საქმის უბადლო ოსტატმა კასიმოვმა, რომელმაც საჯარიმოში ჩაწოდების იმიტაცია გააკეთა და კედლის გვერდის ავლით მოჭრილდ დარტყა კარში. ინგლისელთა მეკარემ, კოლიმორის ალი-კვალმა, ორმეტრიანმა გიგანტმა ჯეიმსმა უხერხულად მოიგერია ბურთი, რომელიც აეჭრა და კარში აღმოჩნდა 1:0. გოლის მერე რადენიმე ათეული წამის განმავლობაში კი თუ სტადიონი არ დაინგრეოდა, არ მეგონა: ორმოცდაათი ათასამდე კაცი ღრიალებდა, ტაშს უკრავდა და ფეხებსაც უბაგუნებდა ტრიბუნას. მერე აღმოსავლეთ ტრიბუნაზე არც მეტი, არც ნაკლები, სალუტი ისროლეს! ამ ხმაურმა მგონი ლივერპელელებიც კი შეაშინა, ეს სად მოვხვდითო. ჯეიმსი ისე დაბნია გოლმა, მერე ბურთი ხელიდან გაუვარდა და ყველაშვილს ფეხი რომ არ დასხლტომოდა და ბურთისთვის ხეირიანად მოერტყა, „სპარტაკი“, ვფიქრობ, ამ თამაშს აღარ წაადებდა. ამ მომენტის მერე ჯეიმსი ერთი ხანობა მარჯვენა ხელაწეული იდგა და მწვრთნელს რაღაცას უყვიროდა. მიზეზს მაშინ მვხვდი, როცა მწვრთნელის თანაშემწემ ახალ-ახალი „ადიდასის“ ბუცებით მიირბინა და ჯეიმსმაც მარცხენა გამოიცვალა — თურმე ნუ იტყვით და, ქაცები მოსტეხოდა...

მისი ბუცის გამოცვლა იყო და ანგარიშიც გათანაბრდა. მაკმანამანი უკვე მერამდენედ შეიჭრა მარცხენა ფრთიდან, პაგაევს და გორლუკოვიჩს „ჩაეძინათ“, ხაპოვიც ძალიან დაუფიქრებლად გამოვიდა კარიდან და მაკმანამანს ზედ საჯარიმოს წინ შეეგება. ინგლისელმა მას გვერდი აუარა და მარცხნივ გაიჭრა, იქ კი, კუთხურის ხაზთან უცებ მოტრიალდა და სანამ ხაპოვი და მცველები კარში ჩადგებოდნენ, მარჯვენით კარში მოჭრა ბურთი — 1:1. „სპარტაკი“ სულით არ დაეცა და ორი გოლის გატანაც შეეძლო, მაგრამ ერთი ნაღდი მომენტი ყაველაშვილს გაუცუდდა, შელიას თაურზე კი ზემოთ მოგახსენეთ.

მეორე ტაიმში გაზაევმა შეცვალა კასიმოვი, რომელსაც თავის ტრავმა გაურთულდა. მერე მისი ფუნქციები თეორაძემ იტვირთა, რამდენიმე გრძელი რეიდიც განატკიცა“ შეტევებში გაატარა, მაგრამ ზემოთ რომ გითხარით, იმგვარ შეტევებში, რასაც შედეგი არ გამოუღია და არც შეეძლო გამოეღო...

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე რიი ევანსმა ქათინაურები ესროლა „სპარტაკს“, ძალიან ძლიერი გუნდიაო და მეტად ძნელი თამაში მოვიგეთო. კონტრშეტევებზეც შეგნებულად ვითამაშეთ, რაკიღა ვიცოდით, თქვენი ტექნიკური გუნდი შინ შეტევებს მიეძალებოდაო.

— მეტოქეთაგან ვის გამოყოფდით?

— კანიშჩევსა და თედეევს.

— კოლიმორმა რატომ ვერ ივარგა?

— კოლიმორი, ფაქტიურად, მარტო იბრძოდა.

— ინგლისის ჩემპიონატში რას გეგმავთ?

— ინგლისის პრემიერლიგაში ახლა 5-6 უძლიერესი გუნდია. ყველას დიდძალი ფული აქვს დახარჯული და ამიტომ ჩემპიონატი მეტად დაძაბულია. ჩვენ განზრახული გვაქვს „ლივერპულს“ ძველი დიდება დაუბრუნოთ.

— თქვენმა თანაშემწემ აქ ყოფნისას „სპარტაკს“ მეთერთმეტე ნომერზე, ყაველაშვილზე საგანგებოდ გაამახვილა ყურადღება. როგორი შთაბეჭდილება დატოვა მან?

— დღეს დრო არ მქონდა, კონკრეტულად დავკვირვებოდი რომელიმე ფეხბურთელს. მთელ გუნდს დავაკვირდი და ყველამ კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

— 0:1-ის შემდეგ რა გრძნობა გქონდათ?

— ვნატრობდი, რომ გუნდი ტაქტიკურად არ დაშლილიყო და კვლავაც ასე გაეგრძელებინათ თამაში. ფიზიკურად მაინც ვაჯობეთ.

ვალერი გაზაევმა მეტოქეს წარმატება მიულოცა და თქვა: ჯერ ყველაფერი არ დაკარგულა, ამ წაგებაში მეკარის ორმა შეცდომამ ითამაშა მთავარი როლი, ჩვენ კი ბევრი საგოლე მომენტი ვერ გამოვიყენეთ. ბოლოსდაბოლოს ინგლისის საუკეთესო გუნდთან წავაგეთ, რომელიც ბრიტანელთათვის უჩვეულო ფეხბურთს თამაშობს. ლივერპულში მოგებაზე ვითამაშებთ, რაკიღა მასპინძლები შეგვიტევენ, ჩვენ კი კონტრშეტევებს მივმართავთ. მოკლედ, მთავარი ბრძოლა წინ არის“...

მამუკა კვარაცხელია
მისივე ფოტოები

გაზაევის დამოძღვრა თამაშის წინ



შელია და ყაველაშვილი „ლივერპულის“ საჯარიმოში

ვლადიკავკაზი — თბილისი

გერმანელთა ვაი და იტალიელთა კლასიკა

ყოფილი კომუნისტები — ჩეხები, სლოვაკები და რუსები გერმანულ გუნდებს დაერიენენ. ცხადია, ეს არ ნიშნავს, რომ მათ შემდეგ ეტაპზე გასვლა გარანტირებული აქვთ, გერმანელი ყოველთვის გერმანელია, წინ კი საპასუხო შეხვედრებია, მაგრამ 12 სექტემბერი რომ გერმანული საკლუბო

კლინსმანის „ბაიერნი" რუსების „ლოკომოტივთან" შერცხვა

ფეხბურთისთვის შავი დღე იყო, ფაქტია. „კაიზერსლაუტერნის" ბრატისლავაში „სლოვანთან" დამარცხებას 1:2 კიდევ არა უშავს, უფრო საკვირველი იყო „ფრაიბურგის" შინ წაგება „სლავიასთან" იმავე ანგარიშით, ხოლო რაც შეეხება სახელგანთქმული მიუნხენის „ბაიერნის" ფიასკოს მოსკოვის „ლოკომოტივთან" 0:1 ეს უფრო სენსაცია გახლდათ. „ბაიერნმა", რომელმაც ბრწყინვალედ დაიწყო გერმანიის ჩემპიონატი — ხუთი თამაშიდან ხუთი გამარჯვება — თავისი კლინსმანით, ჰელმერით, შოლით, კანით და სხვა გერმანელი ვარსკვლავებით საკუთარ მინდორზე ეროფერი მოუხერხა რუსეთის პირველობის ოქროს მაძიებელს. ცალკეული, მეტ-ნაკლებად მწვავე მომენტები მიუხხენელებს, ცხადია, ჰქონდათ, მაგრამ თამაშით მათ „ლოკომოტივი" ვერ დაჯაბნეს და ასეთი შედეგი ალოგიკური სულაც არ გახლდათ.

იტალიურ კლუბებს არაფერი შეშლიათ. მათ კლასიკურად ითამაშეს. ნაღდად დასამარცხებლები „ლაციომ" და „მილანმა" დაამარცხეს. პირველმა ნიკოზიის „ომონიას" უმასპინძლა და 5:0 მოუგო, მეორემ კი „ზაგლებიეს" — 4:0. „მილანზე" საუბრისას მხოლოდ იმას აღვნიშნავდით, რომ მწვრთნელმა ფაბიო კაპელომ ერთი „შემოქმედით" ითამაშა — სასტარტო შემადგენლობაში ეს ადგილი მაინც დეიან სავიჩევიჩს ანდო, რობერტო ბაჯო კი შეცვლაზე შეიყვანა, კიდევ ორმა იტალიურმა გუნდმა „ინტერმა" და „რომამ" კი შვეიცარიაში „ლუგანოსა" და „ქსამაქსთან" ერთნაირად და საქმიანად 1:1 ითამაშეს. „ინტერი" „ლუგანოსთან" შეხვედრაში წინ იყო, მაგრამ თავსხმაში 67-ე წუთზე კარასკოს პირდაპირ კუთხურიდან ჩაახვია და გაქვითა.

ურიგოდ არც ინგლისურ კლუბებს უთამაშიათ. „ლიდს იუნაიტედი" მონაკოში ჩავიდა და ჟან ტიგანას გუნდს შავი დღე აყარა — 3:0. „ნოტინგემ ფორესტი" მალმიოში იგებდა, მეორე ტაიმში პერსონის და ანდერს ანდერსონის გოლებმა გამარჯვება „მალმიოს" კი მოუტანა, მაგრამ ორი კვირის შემდეგ ნოტინგემში საპასუხო მატჩია და, ვინძლო, ინგლიზელები იმედიანად იყვნენ. კუნძულელებს რუსული გასტროლებიც კარგად დაუმთავრდათ, „მანჩესტერ იუნაიტედი" 0:0-ის შემდეგ შინ „როტორს" ალბათ საგანგებო გარჯის გარეშეც მოუგებს, „ლივერპულმა" კი ვლადიკავკაზი სტუმრად 2:1 დაამარცხა და შინ რა ღმერთი გაუწყრება.

მსოფლიოს ჩემპიონ მწვრთნელს, ბრაზილიელ კარლოს ალბერტო პარიერას ითხშაბათ სალამოს მეტად დამწუხრებული გამომეტყველება ჰქონდა. მისი „ფენერბაჰჩე" „რეალ ბეტისს" მასპინძლობდა. პიერის გოლი თურქებმა 76-ე წუთზე, როგორც იქნა, მეტად ეფექტური დარტყმით გაქვითეს (აიკუტმა შემობრუნებით ესპანელ მეკარეს ბურთი თავზე გადაუგდო და თავისგან მარცხენა კუთხეში ჩაუშვა), მაგრამ მყისვე დაცვაში შეცდომები დაუშვეს, რომელთაგან ერთ-ერთი სამ წუთში გოლად დაუჯდათ. ოდესის „ჩერნომორეცმა" ბოლო წუთებში ივარგა. 87-ზე კოზაკევიჩმა გაიტანა, კიდევ ერთ წუთში ოდესელებმა პენალტიც დარტყეს მაგრამ... „ვიძევის"კარში ანჯეი ვოზნიაკი იდგა. ლეეფის „სტანდარდმა" სტუმრად „გიმარაეშთან" თითქოს ურიგოდ არ დაიწყო, 32-ე წუთზე ხხიპენხმა მეტად ეფექტური ჯარიმითაც გაქვითა, მაგრამ მეორე ტაიმში მცველთა შეცდომებმა ედინიო და ჟილმარი გაახარეს. „ოსერის" ფრე — 1:1 ნორვეგიაში „ვიკინგთან" ფრანგული კლუბისთვის, მართალია, ხეირიანი ანგარიშია, მაგრამ თუ ეს გი რუს მოთამაშეების მაქსიმუმი იყო, მათ უახლოეს პერიოდში შეჯიბრებიდან გამოთიშვა არ ასცდებათ.

კაკუნა კედია

უეფას თასი. ოცდამეთორმეტედფინალი. 12 სექტემბერი

ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) — მარიბორი (სლოვენია) 2:0
ჰაპოელი (ისრაელი) — ბარსელონა (ესპანეთი) 0:7
ლაციო (იტალია) — ომონია (კვიპროსი) 5:0
კაზირაგი (11, 16, 87), რამბაუდი (52), სინიორი (55პ)
სტრასბური (საფრანგეთი) — უიპეშტი (უნგრეთი) 3:0
მილანი (იტალია) — ზაგლებიე (პოლონეთი) 4:0
სავიჩევიჩი (10), მიხაი (46 საკუთარ კარში), ვეა (66), ბობანი (76)
გიმარაეში (პორტუგალია) — სტანდარდი (ბელგია) 3:1
ჟილმარი (21, 88), ედინიო (68); ხხიპენხი (32)
ფენერბაჰჩე (ფურქეთი) — რეალ ბეტისი (ესპანეთი) 1:2
აიკუტი (16); პიერი (27), სობასი (79)
როტორი (რუსეთი) — მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი) 0:0
მიუპა 47 (ფინეთი) — პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია) 1:1
ქსამაქსი (შვეიცარია) — რომა (იტალია) 1:1
ჟანერტი (13); მორიერო (19)
სევილია (ესპანეთი) — ბოტევი (ბულგარეთი) 2:0
როდა (ჰოლანდია) — ოლიმპია (სლოვენია) 5:0
ბაიერნი (გერმანია) — ლოკომოტივი (მოსკოვი, რუსეთი) 0:1
აუსტრია (ავსტრია) — დინამო (მინსკი, ბელარუსი) 1:2
მალმიო (შვედეთი) — ნოტინგემ ფორესტი (ინგლისი) 2:1
პერსონი (60), ა. ანდერსონი (78); ვონ (36)
ჩერნომორეცი (უკრაინა) — ვიძევი (პოლონეთი) 1:0
კოზაკევიჩი (87)
მონაკო (საფრანგეთი) — ლიდს იუნაიტედი (ინგლისი) 0:3
ბრონდბიუ (დანია) — ღილესტრიომი (ნორვეგია) 3:0
რეით როვერსი (შოტლანდია) — აკრანესი (ნორვეგია) 3:1
ფრაიბურგი (გერმანია) — სლავია (ჩეხეთი) 1:2
სლოვანი (სლოვაკეთი) — კაიზერსლაუტერნი (გერმანია) 2:1
ლუგანო (შვეიცარია) — ინტერი (იტალია) 1:1
კარასკო (67); რობერტო კარლოსი (12)
ლევსკი (ბულგარეთი) — აალტსი (ბელგია) 1:2
ვიკინგი (ნორვეგია) — ოსერი (საფრანგეთი) 1:1
სპარტაკ-ალანია (რუსეთი) — ლივერპული 1:2
ზიმბრუ (შოლდოვა) — რაგ (ლატვია) 1:0
სპარტა (ჩეხეთი) — სილკებორგი (დანია) 0:1
ლეირსი (ბელგია) — ბენფიკა (პორტუგალია) 1:3

ინგლისი

V ტურის, ბოლო მატჩი: ვესტ ჰემი — ჩელსი 1:3. [illegible]

ინგლისური ჩემპიონატი

ნიუკასლი	5	[illegible]	0	[illegible]	6-2	12
მანჩესტერიუნ.	5	4	0	1	[illegible]	12
ასტონ ვილა	5	3	1	1	6-3	10
უიმბლდონი	5	3	0	2	10-7	9
ლიდსი	5	3	0	2	7-4	9
ლივერპული	5	3	0	2	5-3	9
არსენალი	5	2	3	0	5-2	9
ნოტინგემი	5	1	4	0	7-6	7
შეფილდი	5	2	1	2	7-6	7
ევერტონი	5	2	1	2	6-5	7
მიდლსბრო	5	1	3	1	4-3	6
ქოვენთრი	5	1	3	1	5-7	6
ჩელსი	5	1	3	1	5-5	6
ტოტენჰემი	5	1	2	2	5-7	5
საუთჰემპტონი	5	1	2	2	5-7	5
ბლეკბერნი	5	1	1	3	5-7	4
ბოლტონი	5	1	1	3	6-9	4
ქ.პ.რ.	5	1	0	4	1-8	3
ვესტ ჰემი	5	0	2	3	5-9	2
მანჩესტერ სიტი	5	0	1	4	2-7	1

არა აფურთხო...

ბელგრადის „ობილიჩის" ფეხბურთელი ვესელინ პოპოვიჩი, რომელმაც ბათუმში, თასების თასის გათამაშების წინასწარი ეტაპის საპასუხო შეხვედრაში მსაჯს შეაფურთხა, უეფამ სამწლიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა. უელსელი ვინი ჯონუნზი კი საქართველოს ნაკრებთან 7 ივნისს, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში უხეშობისთვის 5 შეხვედრაში ვერ მიიღებს მონაწილეობას.

შვედეთის „გეტებორგი", რომელსაც ჩემპიონთა ლიგისკენ გზა პოლონეთის „ლეგიამ" ჩაურაზა, გაისად თავის პირველსავე ევროთამაშს ქალაქიდან 200 კილომეტრის მოშორებით ჩაატარებს. საქმე ის გახლავთ, რომ „ლეგიასთან" შეხვედრაში გეტებორგელი გულშემატკივრების ნასროლი ლითონის მონეტები ინგლისელ მანამსაჯს თავში მოხვდა. გარდა სახლიდან შორს თამაშისა, უეფამ შვედთა გუნდი 11 ათასი შვეიცარიელი ფრანკითაც დაჯარიმა. ეს იმის გამო, რომ იმავე მატჩში ორმა ფეხბურთელმა და მწვრთნელმა წითელი ბარათები მიიღეს.

უეფას პრესცენტრის ცნობით, ივნისიდან მოეწყო 300 მატჩის შემოწმება, რის შედეგადაც სხვადასხვა სახის ჯარიმებმა ჯამში 477 ათასი შვეიცარიული ფრანკი შეადგინა. კლუბები, უპირატესად, გულშემატკივართა ხულიგნობის გამო ჯარიმდებოდნენ. ყველაზე დიდი ჯარიმა ინსბრუკის „ტიროლმა" გადაიხადა, რადგან მისმა ქომაგებმა ინტერტოტის თასზე ლევერკუზენთან მატჩის დროს რაკეტები ისროლეს.

ფეხბურთის რუკასთან

პორტუგალიაში „ბენფიკას" მწვრთნელი არტურ ჟორჟე, რომელიც ლისაბონის გუნდს 1994 წელს ჩაუდგა სათავეში, მანამდე კი „პარი სენ ჟერმენი" დააყენა ფეხზე, საყოველთაო შეტევის ობიექტი შეიქნა და გადადგა კიდეც. საქმე ის გახლავთ, რომ „ბენფიკამ" ახალდაწყებულ პორტუგალიის ჩემპიონატის პირველ ტურებში, ჟორჟეს მოწინააღმდეგეთა აზრით, უხეირო ფეხბურთი აჩვენა. კლუბის პრეზიდენტის მანელ დამაზიოს განცხადებით, არტურ ჟორჟეს შეცვლის მისი წინამორბედი მარიო ვილსონი, რომელიც გასულ სეზონში მაროკოს „ფარ კასაბლანკაში" მუშაობდა. ჯერ უცნობია, ვილსონი დროებით მოვიდა გუნდში თუ „ბენფიკას" მწვრთნელად ხანგრძლივად იმსახურებს.

დანიის დედაქალაქ კოპენჰაგენის ცენტრში ორშაბათ დილით დაიჭირეს ათი ინგლისელი გულშემატკივარი, რომლებიც „ნოტინგემ ფორესტის" საქომაგოდ შვედეთში, მალმიოში მიდიოდნენ, გზად დანია გაიარეს და, ბარემ აქა ვართო, კოპენჰაგენელ როკერებს ჩხუბი აუტეხეს.

პოლანდიის „აიაქსში" ცუდი ამბებია. ნიჭიერი ფორვარდი კლუივერტი, რომელიც ჯერ ოცი წლისაც არ არის, ავარიაში მოჰყვა. თავად მას არაფერი დაშავებია, მაგრამ მეორე კაცი გარდაიცვალა. ფეხბურთელს ახლა „აიაქსისთვის" არ სცხელა. მისი თანაგუნდელი ნიგირეიელი ჯორჯ ფინიდი კი მგლოვიარეა — ნიგერიის ჩემპიონატის ბოლო ტურში მას პისტოლეტით მოუკლეს 15 წლის ფეხბურთელი ძმა იგიენივარი, რომელიც იმ თამაშში მონაწილეობდა. როგორც ამბობენ, იგიენივარისთვის განგებ არ უსვრიათ, იგი ბრმა ტყვიამ იმსხვრპლა.

ოსვალდო არდილესი

ბრაზილიის ცნობილი კლუბის, რიო დე ჟანეიროს „ფლამენგოს" მწვრთნელად დანიშნეს ჟურნალისტი ვაშინგტონ როდრიგესი.

შვეიცარიის ნაკრების წამოწყება, ყველა გუნდს გამოეფინა ლოზუნგები საფრანგეთის მთავრობის მიერ წყნარ ოკეანეში ბირთვული იარაღის გამოცდის წინააღმდეგ, უეფამ ძირშივე აღკვეთა. იუპანსონის და კომპანიის აზრით, ფეხბურთს არ უნდა შეეხოს რელიგიური, რასისტული და პოლიტიკური ვნებათაღელვა. ამ საკითხთან დაკავშირებით უეფამ სანქციები დააწესა.

ლიხტენშტეინის ფეხბურთში წინსვლაა, ოღონდ ეს ფეხბურთელებთან არაა დაკავშირებული. საქმე ის გახლავთ, რომ აქაური მსაჯი როლანდ ბეკი ფიფას არბიტრი გახდა.

ალბანეთის ჩემპიონატში სიახლეებია. ახალ პირველობაში, ნაცვლად ჩვეული 16 გუნდისა, 18 მონაწილეობს. შეიცვალა ქულათა დარიცხვის სისტემაც. შინ გამარჯვებისთვის ქვეყნის ჩემპიონატში მონაწილე კლუბი ძველებურად 2 ქულას მიიღებს, სტუმრად მოგება 3 ქულად შეფასდება. ფრე ფრეა — 1 ქულა.

არგენტინელი მწვრთნელი და ყოფილი ვარსკვლავი ოსვალდო არდილესი, რომელიც კარგა ხანს ინგლისში მუშაობდა და გასულ სეზონში „ტოტენჰემ ჰოთსპურიდან" გაუშვეს, მექსიკაში გადავიდა სამუშაოდ. მისი ახალი კლუბი „გვადალახარა", რომელთანაც არდილესმა ერთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. მწვრთნელი იმედოვნებს, რომ გუნდს ქვეყნის ჩემპიონის ტიტულს მოაპოვებინებს. ბოლოს „გვადალახარა" მექსიკის პირველი გუნდი 1987 წელს იყო.

არგენტინის ნაკრების უცვლელი მწვრთნელი ფიზიკურ მომზადებაში ბოლო სამ მსოფლიოს ჩემპიონატზე რიკორდი ეჩვენა 58 წლისა პანკრეასის ოპერაციის შემდეგ გარდაიცვალა. ბოლოს იგი მადრიდის „ატლეტიკოში" მუშაობდა.

ბოტსპანას ნაკრებს ახალი მწვრთნელი ჰყავს. მას მერე, რაც აფრიკის ჩემპიონატის მეექვსე შესარჩევ ჯგუფში ქვეყნის ეროვნულმა გუნდმა ერთი თამაშიც ვერ მოიგო, ფეხბურთის ფედერაციამ ხელმძღვანელობა გამოცვალა. საქსონ კოვას ნაცვლად ახლა ზამბიელი ფრედი მვილა გაუძღვება საქმეს.

ალმოსაპლეთ ბენგალმა 4:0 მოუგო ინდოეთის „ფა მეთერომეტეს" და მაკდუელის თასი მოიპოვა. პირველი გოლი ბისვასმა გაიტანა, რასაც ბუტამ ჰეთ-თრიქი მოაყოლა.

ჰონდა გადაირია

იასუტო ჰონდა იაპონიის „ჯეი ლიგის" პირველხარისხოვან ვარსკვლავთა შორის არაა. იგი თავის გუნდში „კაშიმა ანტლერზშიც" ვერ ბრწყინავს, ანდა როგორ უნდა ებრწყინა ზიკოს, ალსინდოს, ლეონარდოს, ჟორჟინიოს, იოშიეკი პასეგავას, ჰისაში კურისაკის და ნაოკი სომას გვერდით. ჰონდამ სახელი სხვა რამით გაითქვა, იგი პირველი ფეხბურთელია იაპონელთა და არაიაპონელთა შორის, ვინც „ჯეი ლიგაში" 100 თამაში ჩაატარა. ჰონდამ ეს არ იმყოფინა და იმ ისტორიულ მეასე შეხვედრაში „ჯუბილო ივატას" წინააღმდეგ გაიტანა... თავისი პირველი გოლი ლიგაში. ამით წახალისებულმა ფეხბურთელმა ასმეერთე და ასმეორე მატჩებშიც ჯიტანა მეორე და მესამე გოლები. მეორე „ურავა რედ დიამონდს", მესამე კი „ბელმეერ ჰირაცუკას" შეუგდო ჰონდა „კაშიმა ანტლერზში" თავისი სეზნაა ცნობილი ფირმის „ჰონდას" გუნდიდან გადავიდა. 1993 წელს იგი 11 საუკეთესოს შორის დასახელეს და შუკამომ ეროვნულ ნაკრებშიც კი მიიწვია.

გენერალური რეპეტიცია

როგორც იცით, 10-დან 30 აგვისტომდე საქართველოს ოლიმპიურმა გუნდმა ფაიარა შეკრება ამერიკის შეერთებულ შტატებში. დღეს ჯორჯიის შტატში ნამყოფი სპორტის ექვსივე სახეობის წარმომადგენელთა მზადების ამბებს გაგაცნობთ

პირობები – ჩინებული, შტანგა – ოლიმპიური

ძალოსნები ატლანტის სამხრეთით მდებარე ქალაქ ნიუნენში დაბინავდნენ და სამი კვირის მანძილზე იქ გადიოდნენ წვრთნას. ბიძინა მიქიაშვილს, მუხრან გოგიას, კობა ტალახაძეს და ნაკრების მთავარ მწვრთნელს ავთანდილ გახოკიძეს ჩინებული სავარჯიშო პირობები ჰქონდათ. საყოფაცხოვრების ხომ ნუღარ იკითხავთ... მთელი ქალაქში თვალებში შესციცინებდა ჩვენს ძალოსნებს და ხელისგულზე ატარებდა ამ მთასავით ხალხს.

ავთანდილ გახოკიძეს შეკრების ბოლო დღეს ვესაუბრეთ:

„ამერიკაში წამოსვლის წინ ვგეგმავდით, რომ ძირითად აქცენტს ტექნიკაზე გავაკეთებდით. ფიზიკურ მომზადებას, ასე თუ ისე, თბილისში ვახერხებთ; სამაგიეროდ, იქ ტექნიკის მხრივ ბევრს ვერაფერს ვვარჯიშობდით.

პირობები იდეალური გვქონდა, შტანგები კი იმგვარი, რომელითაც ოლიმპიადაზე იქნება ასპარეზობა. მთელი დატვირთვით ვივარჯიშეთ: კვირაში სამჯერ დღეში სამ-სამჯერ, სამჯერაც – ორ-ორჯერ თუ გავიხსენებთ, რომ თბილისში დღეში ერთხელ ვვარჯიშობთ, ისიც გაჭირვებით, იოლი მისახვედრია, რამხელა რამ შეგვძინა ამერიკის შეკრებამ.

ბიძინა მიქიაშვილს (83 კგ) შედეგები ამერიკაში წამოსვლამდე ატაცსა და აკვრაში, შესაბამისად იყო 140 და 180 კგ. აკვრაზე განსაკუთრებით ვამახვილებდით ყურადღებას, რადგან თავს ამ მოძრაობაში მაინცდამაინც კარგად ვერ გრძნობდა. გეგმა გვქონდა, რომ ბიძინას 190 კილოგრამი აეკრა. მაგრამ ვარჯიშები ისე წაუვიდა, რომ 200 კგ. უჩვენა, ატაცში – 155. ბიძინა 205 კგ-საც (მსოფლიო რეკორდი 211 კგ) შეეჭიდებოდა, მაგრამ თავი შეეკავებინა, რადგან აქამდე ნელ-ნელა უნდა მივიდეთ.

მუხრან გოგია (108 კგ) წამოსვლამდე ავადმყოფობდა. მან წონა შეიცვალა. ამდენი რამის შემდეგ, მეგონა, ვარჯიში გაუჭირდებოდა. საბედნიეროდ, ჩემი ვარაუდი არ გამართლდა. მუხრანი ვარჯიშების ტემპში „ჩაჯდა", სწრაფად გადავიდა დიდ დატვირთვებზე და წვრთნაც სრულფასოვანი გამოუვიდა. ამერიკამდე მისი შედეგები იყო 150 – 180 კგ. შეკრების შემდეგ – 170 – 210 კგ.

კობა ტალახაძეს (მძიმე წონა), მოგეხსენებთ, ძალოსნობისთვის 3 წელიწადი თავი დანებებული ჰქონდა. ახლახან მან ისევ დაიწყო ვარჯიში. აქ წამოსვლამდე ერთი თვე ჰქონდა ნავარჯიშები. მის შემთხვევაში შედეგზე არ ვმუშაობდით. უმთავრესად ფიზმომზადება ჩავთვალეთ, ხოლო შეკრების განმავლობაში ნელ-ნელა შევურიეთ ტექნიკის ელემენტებიც. კობა ნელ-ნელა შედის ფორმაში, დიდხნიან „განშორებას" უკვალოდ არ ჩაუვლია. ვფიქრობ, ნოემბრისთვის, მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ყველაფერი რიგზე იქნება. ტალახაძის შედეგები იყო 160-180 კგ (წამოსვლამდე) და 170-200 კგ (შეკრებაზე).

როგორც მოგახსენეთ, ნოემბერში მსოფლიოს ჩემპიონატია ჩინეთში. მანამდე წვრთნას თბილისში გავაგრძელებთ, ხოლო შემდეგ გადავალთ 15-20 დღიან შეკრებაზე. თავდაპირველად შეკრების მოწყობა საჩხერეში გვსურდა, მაგრამ იმ პერიოდში იქ უკვე ცივა და ბიჭები შეიძლება დაშავდნენ. ამიტომ, გადავწყვიტეთ, შეკრება გავიაროთ ზუგდიდში, მუხრან გოგიას ოჯახში. ზუგდიდში ნორმალური დარბაზია, იქვეა – საუნა. კვების ფული კი უკვე გადმოგვრიცხეს. ასე რომ, ამას წინ, ალბათ, აღარაფერი დაუდგება.

მაქსიმალურად უნდა მოვემზადოთ მსოფლიოს ჩემპიონატისთვის. აქ, მოგეხსენებათ, ოლიმპიადის ლიცენზიები გათამაშდება. თუ აქ ვერ ვივარგეთ, შემდეგი საკვალიფიკაციო ტურნირი გაისად აპრილშია, ევროპის ჩემპიონატი. იქამდე ჩვენი საკითხი ღია იქნება. შუალედში კი იმართება საერთაშორისო ტურნირები, სადაც ლიცენზიები თამაშდება, მაგრამ უფულობის გამო ჩვენ იქ ნამდვილად ვერ წავალთ."

მწვრთნელი ავთანდილ გახოკიძე, მუხრან გოგია, კობა ტალახაძე და ბიძინა მიქიაშვილი თავიანთ მასპინძელ მერი-ლუ ვოგტთან

პარტნიორებიც რომ გვყოლოდა...

ბერძნულ-რომაულ სტილს მოჭიდაკეებს მსოფლიოს ჩემპიონატი უკვე კარს მოადგათ. ეს შეჯიბრება 10 ოქტომბერს იწყება პრაღაში. მოჭიდაკეებმა ეს შეკრება ჩემპიონატისთვის მოსამზადებელ პირველ ეტაპად გამოიყენეს. ამჯერად კი კისლოვოდსკში განაგძობენ მზადებას. თუმცა, ისევ ამერიკის ამბებს დავუბრუნდეთ და შეკრების შედეგები შევაფასებინოთ ნაკრების მთავარ მწვრთნელს ბეგი დარჩიას:

„მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მზადების გარდა ჩვენთვის საჭირო იყო გავცნობოდით ატლანტის სიტუაციას. სპორტსმენები უნდა შეჩვეოდნენ აქაურ ბუნებრივ პირობებს, თავის თავზე გამოეცადათ აკლიმატიზაციისთვის დამახასიათებელი თავისებურებები. კარგია, რომ ეს მოხერხდა, იმ მოჭიდაკეებს, ვინც ოლიმპიადის საგზურს მოიპოვებს, ატლანტაში დაბრუნებისას ბევრი რამ გაუადვილდებათ.

მსოფლიოს ჩემპიონატისთვის სამეტაპიანი მომზადება დავგეგმეთ. პირველად აქ, ამერიკაში შევეკრებეთ და ძირითადად ფიზმომზადებაზე ვივარჯიშეთ. გვქონდა აგრეთვე ტექნიკურ-ტაქტიკური ვარჯიშებიც, მათ მომზადების დაახლოებით 30 პროცენტი დავუთმეთ, ფიზიკურ დატვირთვებს კი – 70.



ტარიელ მელელაშვილი და კობა გულიაშვილი ვარჯიშისას

ბეგი დარჩია

ფიზმომზადებაში შედიოდა სპეციალური ვარჯიშები, ვარჯიშები სისწრაფეზე, სწრაფძალოვნებაზე და გამძლეობაზე. ამ მხრივ ძალიან კმაყოფილი ვარ, რადგან საამისოდ მშვენიერი პირობები გვქონდა. ტექნიკურ-ტაქტიკურ მომზადებაში ცოტა გაგვიჭირდა, რადგან პარტნიორები არ გვყოლია. ძიუდოისტებს ნავარჯიშების გამოცდის საშუალება ტურნირზე მიეცათ, მოკრივეებს – სპარინგებზე. ჩვენ კი – არსად. ასე რომ, ხალიჩაზე დამუშავებული ელემენტები მხოლოდ ერთმანეთში გამოვცადეთ.

ხუთივე, მოჭიდაკემ კარგად იმუშავა. თითოეულზე ცალ-ცალკე მოგახსენებთ. ბაკურ გოგიტიძეს (100 კგ) მუხლის ტრავმა აწუხებდა. სამწუხაროდ, ამერიკაში ტკივილმა უფრო შეაწუხა და ხალიჩაზე სრულფასოვნად ვერ ივარჯიშა. სამაგიეროდ, დანაკლისი ფიზმომზადებაში აინაზღაურა. მან გაიარა დატვირთვები სრული კურსი და მისი მდგომარეობით კმაყოფილი ვარ.

კობა გულიაშვილი (62 კგ) კარგ ფორმაშია. რაც ამერიკაში წამოსვლის წინ დავუგეგმეთ, შეასრულა და მდგომარეობაც შესაბამისი აქვს. გარდა ფიზიკურ-ტექნიკური ვარჯიშებისა, დიდ ყურადღებას ვამახვილებდით ფსიქოლოგიურ მომზადებაზე.

ახალგაზრდებში მსოფლიოს ჩემპიონის ტარიელ მელელაშვილის (68 კგ) ფიზიკური მდგომარეობა მკვეთრად გაუმჯობესდა. სამ კვირაში ამ მხრივ ერთი თავით გაიზარდა. 19 წლის ბიჭმა მოუმატა ჯანსა და გამძლეობაში. იმდენად, რომ კაცი ვერ იცნობდა. შეკრების ბოლოს ძლიერად იყო.

გიორგი ჯინჭველაშვილმა (82 კგ) შეკრება სრულფასოვნად ჩაატარა ფიზმომზადების მხრივ, მაგრამ ხალიჩაზე მუშაობისას დაიჩაგრა. თენგიზ თედორაძე მისთვის ძალზე დიდი სპარინგ-პარტნიორი იყო. ამიტომაც ტექნიკურად ვერ იმუშავა სრულყოფილად. მისთვის მდგომარეობა რომ შემემსუბუქებინა, ხანდახან თავად მე შევდიოდი ხალიჩაზე და პარტნიორობას ვუწევდი.

თენგიზ თედორაძეს (90 კგ) ჭიდაობისთვის თავი მინებებული ჰქონდა. იანვარში შევხვდი და მოვილაპარაკეთ, რომ ოლიმპიადისთვის მოემზადებოდა. ეს შეკრება მისთვის იყო ჭიდაობასთან პირველი სერიოზული შეხება დაბრუნების შემდეგ. თენგიზი გამოცდილი მოჭიდავეა, ეს პერიოდი ნაყოფიერად გამოიყენა და თავს გაცილებით უკეთ გრძნობს. ბევრს ინდომებს. ცოტა წონის დაკლება გაუჭირდა, მაგრამ ეს დროის ამბავია. მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ყველაფერი რიგზე უნდა იყოს.

ამ შეკრებაზე უნდა წამოსულიყო გელა პაპაშვილიც (48 კგ). მაგრამ ვიცოდით, რომ პარტნიორი არ ეყოლებოდა და, ამიტომაც, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ რომ ევარჯიშა რუსეთის ნაკრებთან ერთად კისლავოდსკში იმავე დროს. ამერიკიდან მოსკოვში ჩამოსვლისას ვნახე გელა ვარჯიშზე. ნორმალურ მდგომარეობაშია. მეორე ეტაპზე კისლოვოდსკში შემოგვიერთდება. მესამე და მომზადების ძირითადი ნაწილი, სადაც მსოფლიო ჩემპიონატზე წამსვლელი გუნდი დაკომპლექტება, მოეწყობა 25 სექტემბრიდან 8 ოქტომბრამდე ბორჯომში."

სროლით გული იჯერეს

თამაზ იმნაიშვილი

თამაზ იმნაიშვილი:

მომზადება გავიარე ქალაქ ოდუმის სროლის კლუბში. იქ მისულს დამხვდა ამერიკულ ყაიდაზე აწყობილი სტენდი, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდება ოლიმპიურისაგან. ამერიკულ სტენდზე თეფშები ნელა მიფრინავს, არა აქვს სამწამიანი ინტერვალი – თეფში მაშინ გამოდის, როგორც მოითხოვ (ჩვეულებრივ, თეფში მოთხოვნიდან 0-დან 3 წამამდე ინტერვალში უნდა გამოვიდეს – რედ.), თოფი ჩვენ თეძოსთან გვიჭირავს, ამათ კი ნებისმიერად უკავიათ. რამდენიმე საათი დამჭირდა სტენდის „ნორმალურად" გადაკეთებისთვის, რის შემდეგაც ვარჯიშებს წვეულებრივად ვატარებდი. პირველად კარგა ხნის მანძილზე არ მქონია ვაზნებისა და თეფშების პრობლემა: მასპინძლებს ყველაფერი დიდი რაოდენობით მოემარაგებინათ. ერთი სიტყვით, სროლით გული ვიჯერე.

შეკრებაზე ყოფნა იმითაც იყო სასარგებლო, რომ აქაურ კლიმატს გავეცანით. ამ დღეებში საშინელი სიცხეები იყო. მოიხსნა 1954 წლის რეკორდი – თერმომეტრმა 101 გრადუსი ფარენჰეიტით უჩვენა (რეკორდი 100 იყო). სიცხეს კიდევ აიტანს კაცი. ტენიანობაა საშინელი. ჩვენთვის, მსროლელებისთვის ეს განსაკუთრებით ძნელია, რადგან ასპარეზობა გარეთ, ღია ცის ქვეშ გვიწევს. ახლა გვეცოდინება, რომ აქ ასეთი ამბავია. ტენიანობას ვერაფერს მოვუხერხებთ, მაგრამ თადარიგს თბილისიდანვე დავიჭერთ: სპეციალურ დიეტას დავიცავთ, გარკვეულ დღეებში წყალს არ დავლევთ და ა.შ.

ნინო სალუქვაძე:

წვრთნა გავიარე ორი წლის წინათ აშენებულ სასროლეთზე, რომელიც უფრო სამოყვარულოა, რადგან სპორტსმენები აქ იშვიათად ისვრიან. ერთ დღეში პროფესიულ ყაიდაზე გადავწყვეტ და ვარჯიშს შევუდექი.

ნინო სალუქვაძე

ერთი წლის შესვენების შემდეგ ფსიქოლოგიურად ცოტა მიჭირს სროლა. ეს შეკრება უფრო ძალების აღსადგენად და სროლასთან შესაგუებლად გამოვიყენე. ვცდილობდი იმ საათებში მევარჯიშა, როცა ოლიმპიადის შეჯიბრება იქნება (ნინოს უკვე მოპოვებული აქვს ოლიმპიადის ლიცენზია – რედ.). ცხადია, ოლიმპიადაზე უფრო კეთილმოწყობილი სასროლეთი იქნება, არც სიცხე დაგაბრჩობს იმდენად, მაგრამ კლიმატი – კლიმატია, ვერსად წაუხვალ. ტენიანობამ შემაწუხა, მაგრამ სპეციალურად ვძლებდი ვარჯიშების ბოლომდე, გარეშოს რომ შევჩვეოდი.

დასახული პროგრამა სავსებით შევასრულე. აქამდე ჩქარონსულ სილუეტზე სროლას ვერ ვუძლებდი, მალე ვიღლებდი. არ ვიყავი ისე ნავარჯიშები, სროლა იოლად წამსვლოდა. შედეგს კაკეთებდი, მაგრამ მიჭირდა. ახლა დანაკარგები შემცირდა, ამიტომ იგივე შედეგს გაცილებით ნაკლები ძალის ხარჯვით ვაღწევ.

მიუხედავად იმისა, რომ ეს არ იყო წინაოლიმპიური თამაშები, მაინც ძალიან კმაყოფილი ვარ. ოლიმპიადისთვის მომზადების პირველ ეტაპად ეს შეკრება პირდაპირ მისწრება იყო.

ატლანტის ოლიმპიადის წინ

ეროვნული ოლიმპიური

ამერიკელებს მოვეწონეთ



ზურაბ გუნია

მოკრივეები ოლიმპიური გუნდის ძირითად ჯგუფთან რეინჯარდტის კოლეჯში კი ცხოვრობდნენ, მაგრამ რინგზე სავარჯიშოდ და სპარინგებისთვის ან ქალაქ გვინსვილში, ანაც ატლანტაში დადიოდნენ. ორივე ქალაქში მათ ევანდერ ჰოლიფილდის სახელთან დაკავშირებულ კლუბებში მოუწიათ ვარჯიშმა. გვინსვილის კლუბთან ჰოლიფილდი მეგობრობს და თურმე ხანდახან ხელსაც უმართავს. ხოლო ატლანტის კლუბს პირდაპირ „ჰოლიფილდ არენა" ჰქვია და წარმოშობით ატლანტელი ევანდერი მისი სპონსორი და ნაწილობრივ მეპატრონეცაა. აი, თავის „შეგირდებით" კი სახელოვანი მოკრივე კმაყოფილი ვერ დარჩებოდა, რადგან ათმა მათგანმა რინგზე თავი გაალახინა ცხრა მთის იქიდან ჩამოსულ მოკრივეებს. ის „გადამთიელები" კი ჩვენებურები — კობა გოგოლაძე (57 კგ), ბესიკ ვარძელაშვილი (63,5 კგ), თენგიზ მესხაძე (67 კგ), ილია ტლაშაძე (71 კგ) და გიორგი კანდელაკი (91 კგ) იყვნენ. ისინი ამერიკაში გამოცდილი მწვრთნელისა და საუკეთესო სპეციალისტის ზურაბ გუნიას მეთვალყურეობით ვარჯიშობდნენ. შეკრების კომენტარიც ბატონ ზურაბს ვთხოვეთ:

„ოლიმპიადის ლიცენზიების მოსაპოვებლად ჩვენს მოკრივეებს მარტადე მოუწევთ ცდა. ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალში მოხვედრა თამაშების საგზურის მიღების გარანტიაა. მანამდე გვაქვს რადენიმე საერთაშორისო ტურნირი, სადაც ძალებს შევამოწმებთ.

ამერიკის შეკრება იყო მზადების მეორე ეტაპი ქართველი მოკრივეებისთვის. პირველი გაბლდათ გორში, სადაც მთავარი მნიშვნელობა საერთო-ფიზიკურ მომზადებას მიენიჭა. ამერიკაში ყურადღება გავამახვილეთ ისევ საერთო-ფიზიკურ და, განსაკუთრებით, სპეციალურ-ფიზიკურ მომზადებაზე. ამ 21 დღის მანძილზე მასპინძლებმა ამოცანის შესრულების ყველანაირი პირობა შეგვიქმნეს.

გიორგი კანდელაკს მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ სერიოზული ტრავმა ჰქონდა — ნეკნი დაუშავდა და ამჯერად ნაკლებ დატვირთვებს იღებდა. გორში მან ნაწილობრივ გაიარა შეკრება და აქაც ვარჯიშებს ნელ-ნელა ვაჩვევდით. ამდენად, გიორგი ყველაზე ნაკლებად არის მზად, თუმცაღა ეს გათვალისწინებული გვქონდა და მისი მომზადება ეტაპობრივად დავგეგმეთ.

გოგოლაძე, ვარძელაშვილი და ტლაშაძე ნორმალურად არიან მზად. მათ ყველაფერი განრიგის მიხედვით შეასრულეს და არავითარი პრობლემა არ გასჩენიათ. მესხაძემ, მას შემდეგ, რაც 1992 წელს სნგ-ს ჩემპიონატი მოიგო, მაგრამ ოლიმპიადაზე არ წაიყვანეს, თითქოს გული აუცრუვდაო — შემდეგ ორი წელიწადი არ ვარჯიშობდა. ახლა დაბრუნდა და სერიოზულადაც ემზადება. ფიზიკურად კარგად არის, ტექნიკურ-ტაქტიკურად კი — მთლად ვერა. ჩემი აზრით, მეტი მუშაობა სჭირდება რეაქციაზე, დისტანციის შეგრძნებაზე და ა.შ. ყოველ შემთხვევაში, ასე ჩანდა ვარჯიშებზე და სპარინგებზე. კაცმა არ იცის, შეჯიბრებამ იქნებ სრულიად განსხვავებული რამ დაგვანახოს.

სექტემბრის ბოლოს სევასტოპოლში გაიმართება საერთაშორისო ტურნირი, როშელშიც ამერიკაში ნამყოფი ოთხი მოკრივე (კანდელაკის გარდა) მიიღებს მონაწილეობას. შეჯიბრი დაგვანახვებს ყველაფერს და ჩვენების მომზადების საფუძვლიანი ანალიზის საშუალებასაც მოგვცემს.

ამერიკელები კმაყოფილნი დარჩნენ ჩვენით. ამას, ძირითადად, სპარინგებზე ჩვენს მიერ მიღწეული წარმატებებით აფასებდნენ. სპარინგები, რა თქმა უნდა, კარგი იყო, მაგრამ ამერიკელი მოკრივეების დონე ძალიან მაღალი არ ყოფილა. მოგეხსენებათ, ამერიკელები ან პროფესიონალები არიან, ანაც წმინდა მოყვარულები. ოლიმპიურ გუნდს კი არავისთან არ აჩხუბებენ. ჩვენ მოყვარულებთან მოგვიწია შეხვედრამ და ცხადი იყო, უნდა გვეჯობნა... ისე, მიმაჩნია, რომ შეკრება სასიკეთო იყო და ბიჭებმა ყველა დავალება თუ მითითება პირნათლად შეასრულეს."



ბესიკ ვარძელაშვილი

ყველანაირი პირობა, არანაირი წინააღმდეგობა

ძირითადი გუნდისგან ასევე განცალკევებით, ფლორიდის შტატის სიახლოვეს მდებარე ქალაქ მოლტრიში ცხოვრობდნენ და ემზადებოდნენ წყალში მხტომელი ნანა ჯაზარაშვილი და მისი მწვრთნელი სოსო ელბაქიძე. ამერიკულ შთაბეჭდილებებზე საუბრისას თითქოს უპირობოდ შეთანხმებულები ვართ, რომ ყველა სპორტსმენს ცხოვრებისა და ვარჯიშის არაჩვეულებრივი პირობები ჰქონდა. ნანა ამ მხრივ მაინც ყველაზე გამორჩეულ სიტუაციაში იყო. ჯერ იყო და, მის მწვრთნელს ამერიკელებმა აუზის გასაღები მისცეს და, როცა გინდათ შედით, როცა გინდათ — გამოდითო. აუზი სპეციალურად წყალში მხტომელთათვის იყო განკუთვნილი და იმ სამი კვირის განმავლობაში მის ტერიტორიაზე ყაზარაშვილის გარდა სხვა სპორტსმენს ფეხი არც შეუდგამს. ჩვენებს ცალკე უშველებელი სახლიც



ნანა ყაზარაშვილი

დაუთმეს და თან, აუზის სიახლოვეს. ამას ყველაფერს ის დაუმატეთ, რომ ყოველ ვარჯიშს ქალაქის რამდენიმე საპატიო გვამი ესწრებოდა და ნანას ქომაგობდნენ. აღდგენისა და დასვენების უკეთესი პირობების შექმნას ამერიკელები ხომ ერთმანეთს ასწრებდნენ, თითქოს შეჯიბრება აქვთ, ქართველებს ვინ მეტად ასიამოვნებსო.

მოლტრიში ჩასულებს ნანა და სოსო ელბაქიძე „სამუშაო ადგილზე", აუზში დახვდნენ. შემდეგ ყაზარაშვილს მსოფლიო თასში სამონაწილეოდ საბუთები უნდა გეემზადებინა, ამიტომ სალაპარაკოდ მხოლოდ მისი მწვრთნელი მოვიხელთეთ:

„მოგეხსენებათ, ნანა რამდენიმე თვეა გერმანიაში ვარჯიშობს. თბილისში ივლისის ბოლოს დაბრუნდა და ამერიკაში გამომგზავრებამდე თითქმის 20 დღე არ ევარჯიშა. აქ დანაკარგი ერთ კვირაში აღადგინა. სავარჯიშოდ გვაქვს ყველანაირი პირობა და არანაირი წინააღმდეგობა. დღეში ორჯერ ვვარჯიშობთ, 9-დან 12 საათამდე და 5-დან 7-მდე. ხელს არავინ გვიშლის, პირიქით, სულ იმის ცდაში არიან, რამეთი დაგვეხმარონ.

აუზი, როგორც ხედავთ, სპეციალურად წყალში მხტომელთათვისაა. წყლის ტემპერატურა მუდმივად 30 გრადუსია ცელსიუსით. წყლის მუდმივ გათბობა ევროპის კარგ ღია აუზებშიც არ მინახავს. იქ ეს ხდება მხოლოდ შეჯიბრების დროს, ვარჯიშისას კი მზე რამდენადაც გათბობს, იმას უნდა დასჯერდე. ტრამპლინებიც ახალია, ერთი სიამოვნებაა მათზე ვარჯიში. ამბობენ, ოლიმპიადაზეც ეგეთივე იქნებაო...

ნანა კარგ ფორმაშია. რა თქმა უნდა, საშუშაო კიდევ ბევრი გვაქვს. დასახვწია გაშლისა და წყალში შესვლის ტექნიკა. სხვა მხრივ, ხტომის ამპლიტუდითა და სირთულით თავის მეტოქეებს არ ჩამოუვარდება.

კლიმატსაც შევეჩვიეთ. ყაზარაშვილმა აკლიმატიზაცია მალე გაიარა და მეოთხე დღეს უკვე ჩვეულებრივად იყო.

ჩვენ ატლანტაში დავრჩებით და ვასპარეზებთ მსოფლიოს თასზე (შეჯიბრება 5-10 სექტემბერს გაიმართა). ეს ნანასთვის სერიოზული გამოცდა იქნება. იგი, ფაქტიურად, პირველად იასპარეზებს უფროსებში უმაღლესი რანგის ტურნირზე. ატლანტაში თვალნათლივ ვნახავთ ჩვენი შრომის შედეგს. ყველაფრის გარდა, ეს შეჯიბრება ნანასთვის ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც ბევრს მოიტანს."

პრეტენზიის უფლება არა გვაქვს



ბიძინა მაზიაშვილი

ძიუდოისტები ყველაზე ხალხმრავალი ჯგუფით იყვნენ წარმოდგენილნი საქართველოს ოლიმპიურ გუნდში — ექვსი სპორტსმენი და სამი მწვრთნელი. ამიტომაც იყო, რომ მათ ტატამზე არ უგრძვნიათ პარტნიორების ნაკლებობა. შუა შეკრების დროს კი ძალების გამოცდის დიდებული საშუალება მიეცათ — ჯორჯიის შტატის ქალაქ მეიკონში გაიმართა ამერიკის ღია ჩემპიონატი, სადაც ყველა ჩვენმა ფალავანმა იასპარეზა, ხოლო-ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ანზორ მარტყოფლიშვილმა იმსაჯა. ტურნირის შედეგები თქვენთვის კარგადაა ცნობილი, ამიტომაც მასზე საუბრით თავს აღარ შეგაწყენთ. შეგახსენებთ მხოლოდ ამერიკაში ნამყოფთა ვინაობას: გიორგი რევაზიშვილი (65 კგ), სოსო ლიპარტელიანი (78 კგ), ივერი ჯიქურაული (86 კგ), მეკლად ლობჟანიძე (95 კგ), დავით ხახალეიშვილი და ალექსი დავითაშვილი (მძიმე წონა). მზადებას ხელმძღვანელობდა ნაკრების მთავარი მწვრთნელი ბიძინა მაზიაშვილი. მას ეხმარებოდნენ ომარ მერაბიშვილი და ანზორ მარტყოფლიშვილი. შეკრების შესახებ ვესაუბრეთ ბატონ ბიძინა მაზიაშვილს:

„ტოკიოს მსოფლიო ჩემპიონატამდე ერთი თვეც აღარ რჩება. მომზადების პირველი ეტაპი უკვე გავლილია, მე ვთვლი, რომ წარმატებით. ეს ეტაპი, როგორც ყველა დიდი შეჯიბრების წინ, ფიზიკური მომზადებისთვის გვქონდა განკუთვნილი. მისი გამართვა დუშეთსა ან ბორჯომში გვსურდა, მაგრამ ვინაიდან ეს დიდი საქმე გაკეთდა და ჩვენი გუნდი ამერიკაში აღმოჩნდა, აქ ყოფნა მომზადების პირველ ეტაპად გამოვიყენეთ.

მართალი გითხრათ, რაც აქ ვნახეთ, იმან ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. საცხოვრებელი, კვება, ფიზმომზადების დარბაზი, მასპინძლობა იმისთანა იყო, ჩვენ რომ არც დაგვესიზმრება. ჩვენს გაკარგულებაში იყო ფიზმომზადების უკლებლივ ყველა იარაღი, რაც კი არსებობს, ხოლო მეიკონში გამართული ამერიკის ღია ჩემპიონატი ხომ მთლად მისწრება იყო.

პროგნოზები არ მიყვარს და არც ამჯერად გავაკეთებ. მე არ ვიცი, ვინ რას ჩამოიტანს ტოკიოდან, მაგრამ იმის პრეტენზია, ვარჯიშის საშუალება და პირობები არ გვქონდაო, ნამდვილად არავის ექნება. ძიუდოისტებს ამერიკაში არაფერი აკლდათ. ჯერ იმას იტყვის ვინმე, ეს იარაღი არ იყო და იმიტომ ვერ მოვემზადეო. ვიმეორებ, პრეტენზიების გამოთქმის უფლება არა გვაქვს.

ერთი სიტყვით, მე, როგორც ნაკრების მთავარი მწვრთნელი, ამერიკის შეკრებით კმაყოფილი ვარ. მომზადების მეორე ეტაპს ბორჯომში გავმართავთ. ბოლომდე იქ მოვემზადებით და შემდეგ ტოკიოში წავალთ. დანარჩენზე კი მსოფლიოს ჩემპიონატიდან დაბრუნების შემდეგ ვილაპარაკოთ"...

მერაბ რატიშვილი, ატლანტა — თბილისი

100
Atlanta 1996
ამერიკაში კორესპონდენტის მიკლინებისთვის „სარბიელის" რედაქცია მადლობას უხდის საქართველოს რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტსა და საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს.

დიდი მატჩი ძალიან მაღლა

შარშანდელმა დიდმა შერიგებამ ფიდესა და პროფესიონალ მოჭადრაკეთა ასოციაციას შორის ახალი ელფერი შესძინა ვაჟთა მსოფლიო პირველობას. ამჟამად მსოფლიოს ორი ჩემპიონი ჰყავს, რაც, ბუნებრივია, პარადოქსია — მსოფლიოს მუდამ ერთი ჩემპიონი ჰყავდა და უნდა ჰყავდეს. ამიტომ შერიგებისას გადაწყდა: 1996 წლის ივნისში გაიმართოს მატჩი ფიდეს და ასოციაციის ეგიდით მსოფლიო ჩემპიონებს შორის ერთი, ნამდვილი ჩემპიონის გამოსაავლენად, მანამდე კი, 1995 წლის ბოლომდე დასრულდეს უკვე დაწყებული მსოფლიო პირველობები ორივე ეგიდით, მით უმეტეს, რომ სათამაშო დარჩა მხოლოდ ორი დასკვნითი მატჩი: გარი კასპაროვი (რუსეთი) — ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) — ასოციაციის და ანატოლი კარპოვი (რუსეთი) — გატა კამსკი (აშშ) — ფიდეს ეგიდით.

და აი, 11 სექტემბერს ნიუ-იორკში დაიწყო კასპაროვ — ანანდის მატჩი. კარპოვ — კამსკის ორთაბრძოლა მოგვიანებით გაიმართება, როდის და სად, ჯერ ცნობილი არ არის.

ჭადრაკის სამყარო კვლავ დაიძაბა. ასეა ყოველთვის, როცა მსოფლიო პირველობის დასკვნითი მატჩი იწყება. მაგრამ ამ ბრძოლას უფრო მძაფრი, პრინციპული ხასიათი აქვს. საქმე ისაა და ეს ყველას მოეხსენება, რარიგ გამწვავებულია კასპაროვისა და კარპოვის პირადსპორტული ურთიერთობა. მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის დაკარგვის შემდეგ (1985) კარპოვი არ ცხრება. ეს „ომი" დაიწყო მათი პირველი მატჩიდან, რომელიც ფიდეს პრეზიდენტმა კამპომანესმა თვითნებურად ჩაშალა. მეტოქეებს 6 მოგებულ პარტიამდე უნდა ეთამაშათ, მაგრამ 48 პარტიის შემდეგ, როცა ანგარიში იყო 5:3 (40 ყაიმი) კარპოვის სასარგებლოდ, კამპომანესმა შეწყვიტა

კასპაროვი დღესაც უძლიერესი დიდოსტატია, თუმცა ზოგი სპეციალისტი სხვა აზრისაა — მისი აბსოლუტური უპირატესობა არ იგრძნობაო. ესენი იხსენებენ ლინარესის 1994 წლის სუპერდიდოსტატთა ტურნირს, რომელშიც კარპოვმა დამაჯერებლად აჯობა (2,5 ქულით გაუსწრო) კასპაროვს. ბარემ აქვე ვიტყვით, რომ კასპაროვ — ანანდის

გარი კასპაროვი და ვიშვანათან ანანდი

მატჩში კარპოვი გამარჯვებას ინდოელ დიდოსტატს უწინასწარმეტყველებს.

კარპოვი დასანახადაც ვერ იტანს კასპაროვს. ამბობს, როგორც ყველა დიქტატორს, კასპაროვს უყვარს ძალაუფლება და ამას ფულის გასაკეთებლად იყენებსო. მართალია, კასპაროვი მდიდარია, მაგრამ მოჭადრაკეებზე მისმა ზრუნვამ სხვებსაც აშოვნინა ფული. პროფესიონალ მოჭადრაკეთა ასოციაცია, რომლის პრეზიდენტიც კასპაროვია, დიდოსტატთა კეთილდღეობისთვისაა მონოდებული.

როგორც ჩანს, კარპოვი ადვილად არ დაყრის ფარ-ხმალს. მას კიდევ ერთხელ მიეცა შესაძლებლობა, პირისპირ შეხვდეს კასპაროვს, თუ, რასაკვირველია, დაამარცხებს კამსკის. მაგრამ კამსკი ძნელად დასამხობი „ციხეა", თუმცაღა მხოლოდ 20 წლისაა. შთამბეჭდავია კამსკის ბოლოდროინდელი მიღწევები: ფიდეს ეგიდით პრეტენდენტთა საგზურისთვის ბრძოლაში მან სძლია ვალერი სალოვს (5,5:1,5) და ანანდს (6:4).

მაგრამ გავაგრძელოთ საუბარი კასპაროვ — ანანდის მატჩზე.

კასპაროვს საქმე ექნება დიდი ნიჭის და შემართების დიდოსტატთან. მათ შორის ასაკში სხვაობა მხოლოდ 6 წელია (კასპაროვი დაიბადა 1963 წლის 13 აპრილს, ანანდი — 1969 წლის 11 დეკემბერს), რაც ბევრს არაფერს ნიშნავს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ კასპაროვის მეტ სასწავლო მატჩზე გამოცდილებას. ამ უპირატესობას კასპაროვიც აღნიშნავს: „ვიში უდაოდ კარგად თამაშობს თანამედროვე ჭადრაკს. იგი სახიფათო მეტოქეცაა. მართალია, ჩემდენი გამოცდილება არა აქვს, მაგრამ გამოირჩევა ადაპტაციის კარგი უნარით ახალ სიტუაციებში. ძალიან საინტერესო შეხვედრა მომელის".

რას ფიქრობს თავად ანანდი? „მატჩი ძნელი იქნება, მაგრამ არა უპერსპექტივო. ახლა კასპაროვი უფრო „ხელშესახებია", ვიდრე ათი წლის წინათ. სწორი თამაშის შემთხვევაში მაქვს გამარჯვების შანსი".

კასპაროვი და ანანდი მრავალჯერ ყოფილან მეტოქენი. წლეულს გაზაფხულზე, რიგაში, მიხეილ ტალის მემორიალზე პირველი იყო კასპაროვი, მეორე — ანანდი. პირადი შეხვედრა კასპაროვმა მოიგო. მსოფლიო ჩემპიონი იმპულსური ადამიანია და მუდამ მოგებაზე თამაშობს. იგი დაწყებათა თეორიის ბრწყინვალე მცოდნეა. თუ ანანდმა შეძლო ამ უპირატესობის ნეიტრალიზაცია, მაშინ მას მართლაც ექნება გამარჯვების შანსი. თქმა არ უნდა, ინდოელი დიდოსტატი საგულდაგულოდ მუშაობდა თავის სადებიუტო რეპერტუარის გასამდიდრებლად. რამდენად შეძლო ეს, მატჩის მსვლელობა გვიჩვენებს.

ამ ძნელ საქმეში მას ეხმარებოდნენ დიდოსტატები ელიზბარ უბილავა, ამჟამად გერმანიაში მცხოვრები დებიუტების უდიდესი სპეციალისტი არტურ იუსუპოვი და ინგლისელი ჯონათან სპილმენი.

ანანდმა ესპანეთში გაიცნო უბილავა, რომელიც რამდენიმე წელია იქ მწვრთნელად მუშაობს. ქართველი დიდოსტატი დაეხმარა ანანდს პრეტენდენტთა მატჩებში, რომლებშიც ინდოელმა დაამარცხა ოლეგ რომანიშინი (უკრაინა) 5:2, მაიკლ ადამსი (ინგლისი) 5,5:1,5 და გატა კამსკი 6,5:4,5. ანანდმა ახლაც მიიწვია უბილავა თავის სეკუნდანტად.

კასპაროვმა მთლიანად შეცვალა თავისი მწვრთნელთა გუნდი. მისი სეკუნდანტები იქნებიან დიდოსტატები იური დოხოიანი (მოსკოვი) და გენადი პიგუსოვი (კემეროვო).

მავანმა შეიძლება თქვას, ახლა, როცა მატჩში პარტიები არ გადაიდება და პარტიის მომზადებაში შეიძლება კომპიუტერს მიენდო, მწვრთნელებმა რაღა უნდა აკეთონო. არც ასეა საქმე. გონიერი მწვრთნელ-სეკუნდანტის რჩევა-დარიგებას დებიუტის შერჩევა-მომზადებაში საკმაო დახმარების გაწევა შეუძლია. კასპაროვს შემთხვევით არ შეუცვლია თავისი მწვრთნელები (ადრე მას სამ მატჩში ზურაბ აზმაიფარაშვილიც ეხმარებოდა) — ახლებში ალბათ მეტი პოტენციალი შეამჩნია.

მაშ ასე, კასპაროვ — ანანდის მატჩში 20 პარტია გათამაშდება. გამარჯვებისთვის საკმარისია 10,5 ან 11 ქულის მოგროვება, ანდა 6 პარტიის მოგება. ყაიმის (10:10) შემთხვევაში კასპაროვი მსოფლიო ჩემპიონად დარჩება. ახალი რეგლამენტით, ყველა პარტია იმავე დღეს უნდა დამთავრდეს, იგი არ გადაიდება.

მატჩის საპრიზო ფონდი 1,5 მილიონ ამერიკული დოლარია. გამარჯვებულნი ამ თანხის ორ-მესამედს მიიღებს.

ბევრი ფიქრობს, რომ მატჩი ნიუ-იორკში ნამდვილი მსოფლიო პირველობაა. აკი ამბობს კიდეც კასპაროვი: ვინც მე დამამარცხებს, ის იქნება მე-14 მსოფლიოს ჩემპიონი. სხვათა შორის, კარპოვი ჩემი ჩემი და კამსკის მატჩის მასპინძლის არჩევა (ინდოეთი) ანანდმა, რომ [illegible] (ალბათ [illegible] მანესი) ჩვენი შეხვედრა საკვალიფიკაციო მატჩად მიიჩნიაო. შესაძლოა ასეც არის, თუმცა ისინი, ვისაც ეს ეხება, ამას არ ამბობენ.



ელიზბარ უბილავა

კასპაროვ — ანანდის შეხვედრა თავდაპირველად კიოლნში იყო დაგეგმილი, მაგრამ დიდმა წყალდიდობამ ქალაქის მერიას ხელი ააღებინა მატჩის გამართვაზე. დიდოსტატები ნიუ-იორკში საასპარეზოდ ქალაქის თავმა მიიწვია და „ბრძოლის ველად" ერთ-ერთი დიდი ცათამბჯენის 108-ე სართული დაუთმო. ზოგი ვარაუდობს, მატჩს დიდძალი მაყურებელი ეყოლებაო, ზოგიც ამაზე დუმილს ამჯობინებს. მავანნი კი სენსაციას ელიან: მაგალითად, მოსკოვის ჟურნალი „64 — შახმატნოე ობოზრენიეში" ეკითხულობთ: მოსალოდნელია შეუპოვარი ბრძოლა, სადაც შესაძლოა ტიტულმა მფლობელი შეიცვალოს".

ერთი სიტყვით, უაღრესად მიმზიდველი და შეუპოვარი ორთაბრძოლის მოწმენი ვიქნებით. ამის გარანტია მეტოქეთა ახალგაზრდობა, დაუოკებელი მებრძოლი სული და პატივმოყვარეობა.

კასპაროვ-ანანდის მატჩის პირველი პარტია ყაიმით დასრულდა.

თენგიზ გიორგაძე,
საერთაშორისო არბიტრი, ოსტატი



ნოდარ დუმბაძის სახელობის ბავშვთა ქალაქ „მზიურში" გაიხსნა

საჩოგბურთო სკოლა «მზიური»

სწავლებას უხელმძღვანელებს წარსულში ცნობილი ქართველი ჩოგბურთელი თეიმურაზ კაკულია. ბავშვებთან იმუშავებენ კვალიფიციური ინსტრუქტორები.

ცნობებისათვის მიმართეთ სკოლის ადმინისტრაციას (ჭავჭავაძის I ჩიხი, ბავშვთა ქალაქი „მზიური", ჩოგბურთის კორტები).

ტელ.: 23-01-49

სახელმწიფო საწარმო „იმედი"

პოლიგრაფიული მომსახურება

პოლიგრაფიული დიზაინი; წიგნების, ჟურნალ-გაზეთების, სამეცნიერო შრომებისა და ლექსიკონების

კომპიუტერული აწყობა-დაკაბადონება

მარჯანიშვილის 5, IV სართული, ოთახი 409, ტელ.: 96-91-73

ვასწავლით ბავშვებს კომპიუტერთან მუშაობას (ნორტონი, გრაფიკული სისტემები, საგამომცემლო სისტემები) სამომხმარებლო დონეზე.

ჯგუფები შედგება ორი-სამი ბავშვისაგან.
მეცადინეობა ჩატარდება თქვენთვის სასურველ დროს.
რაოდენობა შეზღუდულია.

მარჯანიშვილის 5, IV სართული ოთახი 409, ტელ.: 96-91-73

სარბიელი

ტოტალიზატორი "CROCO"

გერმანია. მე-6 ტური. 15-17.09			
ლევერკუზენი — აინტრახტი	1,3	3,0	5,0
ფრაიბურგი — ვერდერი	1,7	2,8	2,9
მიუნხენი — კიოლნი	1,6	2,8	3,2
ურდინგენი — შალკე	1,6	2,8	3,2
კარლსრუე — ფორტუნა	1,3	3,0	5,0
ჰამბურგი — ჰანზა	1,45	3,0	3,7
მიონხენგლადბახი — ზანქტ პაული	1,2	3,0	6,5
დორტმუნდი — შტუტგარტი	1,2	3,0	6,5
კაიზერსლაუტერნი — ბაიერნი	2,0	2,5	2,5
ინგლისი. მე-6 ტური. 16-17.09			
არსენალი — ვესტ ჰემი	1,2	3,0	6,5
ასტონ ვილა — უიმბლდონი	1,25	3,0	5,6
ჩელსი — საუთჰემპტონი	1,4	2,8	4,4
ლიდსი — ქვინზ პარკი	1,2	3,0	6,5
ლივერპული — ბლექბერნი	1,35	3,0	4,4
მანჩესტერ იუნ. — ბოლტონი	1,1	3,2	8,0
მიდლსბრო — ქოვენთრი	1,5	2,8	3,8
ნიუკასლი — მანჩესტერ სიტი	1,1	3,2	8,0
შეფილდი — ტოტენჰემი	1,7	2,9	2,8
ნოტინგემი — ევერტონი	1,4	2,8	4,4
იტალია. მე-3 ტური. 17.09.			
ატალანტა — ნაპოლი	1,4	3,0	4,0
ბარი — ლაციო	1,9	2,6	2,6
ფიორენტინა — კალიარი	1,4	2,8	4,4
ინტერი — პიაჩენცა	1,1	3,2	8,0
იუვენტუსი — ვიჩენცა	1,1	3,2	8,0
პადოვა — ტორინო	1,7	2,7	3,0
რომა — მილანი	2,2	2,4	2,4
სამპდორია — პარმა	1,7	2,8	2,9
უდინეზე — კრემონეზე	1,6	2,8	3,2
ესპანეთი. მე-3 ტური. 16-17.09			
რეალი — ოვიედო	1,15	3,1	7,0
დეპორტივო — სალამანკა	1,1	3,2	8,0
სევილია — რეალ სოსიედადი	1,6	2,8	3,2
ესპანიოლი — ალბასეტე	1,2	3,0	6,5
სარაგოსა — ბარსელონა	1,7	2,8	2,9
ბილბაო — ატლეტიკო	1,55	2,6	3,8
სელტა — ტენერიფე	1,55	2,6	3,8
ხიხონი — სანტანდერი	1,3	3,0	5,0
ვალიადოლიდი — კომპოსტელა	1,8	2,7	2,7
მერიდა — ვალენსია	1,7	2,8	2,9
რაიო ვალეკანო — ბეტისი	2,8	2,6	1,8
საფრანგეთი. მე-9 ტური. 15-17.09			
ნანტი — გინგამი	1,3	3,0	5,0
მონაკო — მეცი	1,5	2,8	3,8
კანი — სტ. ეტიენი	1,7	2,9	2,8
ლიონი — ოსერი	1,6	2,8	3,2
მონპელიე — პსჟ	3,4	2,8	1,55
სტრასბური — ნიცა	1,3	3,0	5,0
ლანი — ბასტია	1,4	2,8	4,4
ლე ავრი — ბორდო	3,6	3,2	1,4
შოტლანდია. მე-3 ტური. 16.09			
სელტიკი — მოზერველი	1,2	3,0	6,5
ჰიბერნიანი — აბერდინი	1,4	2,8	4,4
რუსეთი. 25-ე ტური. 16-17.09.			
როსტსელმაში — ვლადიკავკაზი	4.0	3.0	1,4
სპარტაკი — ტორპედო	1,6	2,8	3,2
თურქეთი. მე-5 ტური. 15-17.09.			
ფენერბაჰჩე — ბურსასფორი	1,2	3,0	6,5
ტრაბზონსფორი — ბეშიქთაში	1,7	2,8	2,9

ფსონების შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

თამაშის წესები

თამაშში მონაწილის მიზანია გამოიცნოს მატჩის ძირითადი დროის შედეგი. მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტი ყოველ შესაძლო შედეგზე. შედეგის გამოცნობის შემთხვევაში მიიღებთ თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია. ფსონები მიიღება მატჩის ანგარიშის გამოცნობაზეც (კოეფიციენტი — 4,0). ფსონის მინიმალური თანხაა — 1000 მანეთი.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩზე ერთდროულად. თუ ფსონს ჩამოხვალთ რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, თქვენი კოეფიციენტი ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს შეადგენს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე).

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში და, შესაბამისად, მატჩის შედეგიც განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ერთი და იგივე მატჩის შეტანა ერთ ვარიანტში ორი სხვადასხვა სახით (მაგ: ლაციო — პარმა 1, და პარმა — ლაციო 2-1) არ შეიძლება, კოეფიციენტები არ გამრავლდება. კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზებისთვის: შედეგი — შედეგზე, თასის აღება — თასის აღებაზე და ა.შ.

თუ მატჩი ჩატარდა დანიშნულ თარიღზე ადრე, მატჩის ჩატარების შემდეგ ჩამოსული ფსონები, მიუხედავად მასში აღნიშნული შედეგისა, დაბრუნდება უკან. ფსონები უქმდება მაშინაც, თუ მატჩი გადაიდო, შეიცვალა მასპინძელი გუნდი ან არ დამთავრდა (ჩაიშალა). თუ ასეთი მატჩები შეტანილია სხვა მატჩებთან ერთად ორ ვარიანტში, მაშინ ვარიანტი განიხილება ამ თამაშის გარეშე. თუ მატჩი დამთავრდა, მისი შედეგი დაფიქსირდა, შემდეგ კი იგი გაპროტესტდება და გადათამაშდება, მოგებები გაიცემა პირველი მატჩის შედეგის მიხედვით. თუ ფსონი დადებულია გუნდის შემდგომ ეტაპზე გასვლაზე და თამაშის შედეგად გუნდი გავა კიდევაც, შემდეგ კი რაიმე სანქციების გამო შემდეგ ეტაპზე გასულად სხვა გუნდი ჩაითვლება, მოგებები გაიცემა თამაშის შედეგად შემდეგ ეტაპზე გასულ გუნდზე. თუ ტურში არ ჩატარდება რომელიმე მატჩი, ფსონი კი დადებულია გატანილი გოლების რაოდენობაზე, მოგება გაიცემა ან ფსონი ნაგებულად ჩაითვლება, თუ ამ მატჩის შედეგი გავლენას ვერარ ახდენს პროგნოზის გამოცნობაზე. სხვა შემთხვევაში ფსონი ბრუნდება უკან.

მოთამაშე პასუხისმგებელია ქვითრის სწორად შევსებისთვის. თუ ქვითრის ორი ნაწილი განსხვავებულად არის შევსებული, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ტოტალიზატორში ჩაბარებულ ნაწილს.

მოგებები გაიცემა და ფსონები უკან ბრუნდება ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ, ქვითრის გარეშე და არასწორად ან არასრულად შევსებულ ქვითრებზე მოგებები არ გაიცემა. თუ ქვითარში არ არის მითითებული თანხა, ფსონები ჩაითვლება მისი მინიმალური ოდენობით (1 000 მანეთი).

ფსონები მიიღება: სამშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევს და შაბათს 13-დან 16 საათამდე სასტუმრო „აჭარის" ფოიეში.

		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22
1	ALBACETE BALOMPIE	■																3-2					
2	RCD ESPAÑOL BARCELONA		■														3-1						
3	FC BARCELONA			■																			2-2
4	ATHLETIC DE BILBAO				■								4-0										
5	SD COMPOSTELA					■		4-0															
6	SPORTING GIJON	3-0					■																
7	DEPORTIVO LA CORUÑA							■															
8	ATLETICO DE MADRID								■														
9	RAYO VALLECANO									■	1-5												
10	REAL MADRID CF				1-2						■												
11	REAL OVIEDO									2-0		■											
12	RACING SANTANDER								0-4				■										
13	REAL ZARAGOZA											1-0		■									
14	REAL SOCIEDAD						2-0								■								
15	REAL BETIS SEVILLA													3-1		■							
16	SALAMANCA																■					0-1	
17	SEVILLA FC																	■	0-1				
18	CD TENERIFE		1-4																■				
19	VALENCIA CF																		1-0	■			
20	REAL VALLADOLID			0-2																	■		
21	RC CELTA VIGO					0-1																■	
22	MERIDA															1-1							■

		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18
1	ATALANTA BERGAMO	■										1-1							
2	AS BARI		■							1-1									
3	US CAGLIARI			■											0-1				
4	US CREMONESE				■		0-0												
5	AC FIORENTINA					■										2:0			
6	SAMPDORIA						■							1-1					
7	AC MILAN							■									2-1		
8	INTER MILANO								■									1-0	
9	SSC NAPOLI									■	2-0								
10	AC PADOVA							1-2			■								
11	AC PARMA								2-1			■							
12	PIACENZA												■						0-4
13	AS ROMA					0-1								■					
14	LAZIO ROMA												4-1		■				
15	AC TORINO						3-1									■			
16	UDINESE				1-0												■		
17	VICENZA							1-0										■	
18	JUVENTUS TORINO					4-1													■

		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20
1	FC ARSENAL	■										1-1		1-1							
2	ASTON VILLA		■		1-0						3-1										
3	BLACKBURN ROVERS		1-1	■							1-2				1-0						
4	BOLTON WONDERERS			2-1	■							1-1	1-3								
5	FC CHELSEA					■	2-2	0-0													
6	COVENTRY CITY	0-0					■			2-1				1-1							
7	FC EVERTON	0-2						■			2-3						2-0				
8	LEEDS UNITED		2-0						■	1-0											
9	FC LIVERPOOL									■					1-0	1-0					
10	MANCHESTER CITY	0-1					0-2				■							1-1			
11	MANCHESTER UNITED											■							2-1	3-1	
12	MIDDLESBROUGH				2-0								■				0-0				
13	NEWCASTLE UNITED					3-0						1-0		■							
14	NOTTINGHAM FOREST				0-0										■				1-1		
15	QUEEN'S PARK RANGERS									1-0						■	0-3				0-3
16	SHEFFIELD WEDNESDAY			2-1									0-2				■				
17	FC SOUTHAMPTON							1-1					1-0	3-4				■			
18	TOTTENHAM HOTSPUR		0-1					2-1	1-3										■		
19	WEST HAM UNITED				1-3			1-2										1-1		■	
20	FC WIMBLEDON			3-2					1-0							2-2					■

		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18
1	FORTUNA DUSSELDORF	■				2-2			2-2			1-1							
2	SV WERDER BREMEN	1-1	■								1-0					2-0			
3	BORUSSIA DORTMUND			■						1-1				2-1					
4	FC ST. PAULI			0-3	■					1-2						4-2			
5	FC HANSA ROSTOCK			3-2		■							1-2	2-3					
6	EINTRACHT FRANKFURT						■			3-1	2-2					4-2			
7	SC FREIBURG					0-2		2-0	■										
8	HAMBURGER SV			3-3					■								1-1		
9	1. FC KAISERSLAUTERN									■				1-3				1-1	
10	KARLSRUHER SC										■	1-0			2-6				
11	1. FC KÖLN								3-2			■					0-1		0-0
12	BAYER 04 LEVERKUSEN				1-1	1-1							■						
13	BORUSSIA MÖNCHENGLADBACH							1-0					0-0	■					
14	FC BAYERN MÜNCHEN							2-0	3-2						■				2-0
15	TSV 1860 MÜNCHEN														0-2	■		1-1	
16	FC SCHALKE 04		1-1				1-3				2-1						■		
17	VfB STUTTGART							3-1					1-4					■	0-0
18	BAYER 05 UERDINGEN			3-0				1-1											■

ვარიაციები რაგბის ბურთის თემაზე

160 წლის განმავლობაში რაგბის ბურთმა სრული მეტამორფოზა განიცადა.

იმის გამო, რომ მისი პირველადი ფორმა ნაკრნახევი იყო ტყავის შალითაში გამოკერილი ღორის შარდის ბუშტის მოყვანილობით, ბურთი თავდაპირველად უფრო მომრგვალო ყოფილა, ვინემ ოვალური.

რაგბის ბურთების მწარმოებელი ერთ-ერთი ცნობილი ფირმის დამფუძნებელი ვილიამ ჯილბერტი ქალაქ რაგბში 1842 წელს დასახლებულა და წმ. მათეს ქუჩაზე გაუხსნია სახელოსნო, სადაც წაღებისა და ბურთების კერვისთვის მიუყვია ხელი.

თითქმის დაუჯერებელია, მაგრამ თუ ვირწმუნებთ „ჯილბერტების საგვარეულო ისტორიის“ ავტორის, ჯეიმზ ჯილბერტის დაწერილს, ვილიამს ბურთის გაბერვა პირით შესძლებია.

იმდროინდელი ბურთის გარსს ხარის ტყავის ოთხი ნაჭრისგან კი კერავდნენ, მაგრამ ღორის ბუშტს უმად, დაუმუშავებლად ბერავდნენ. იმისთვის, რომ პირით არ შეხებოდნენ, მას უკეთებდნენ თიხის სარქველს. ამისდა მიუხედავად, ჯილბერტის მთავარი კონკურენტის, ვინმე რიჩარდ ლინდონის ცოლს ბურთების გაბერვამ ფილტვების ინფექცია შეჰყარა. ამან ლინდონს მოაფიქრებინა ბუშტის მასალად ხელოვნური რეზინის გამოყენება. თუმც ეს სიახლე 1862 წელს დანერგა, ლინდონმა მისი დაპატენტება მაინც ვერ მოახერხა.

ინგლისის რაგბის კავშირმა 1892 წელსღა დაადგინა ბურთის სტანდარტული განზომილებები. კავშირის გადწყვეტილებით, ბურთი უნდა ყოფილიყო ოვალური, განივი გარშემოწერილობა 25-26 გოჯი უნდა ჰქონოდა, გრძივი კი — 30-31 გოჯი. (გოჯი ჩვენებურად ორნახევარი სანტიმეტრია.) მოთამაშეთა მოთხოვნების გათვალისწინებით ბურთის განი 1931 წელს 24-25 გოჯამდე შეამცირეს. ამჟამად ეს განზომილება 23-24 გოჯია, რაც ბურთის ხელში წერას აადვილებს.

1960 წლამდე სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა რაოდენობის ნაჭრისგან კერავდნენ ბურთის გარსს. ზელანდიაში, ბრიტანეთსა და ავსტრალიაში ოთხნაჭრიანი ბურთით თამაშობდნენ, საფრანგეთში — ექვსნაჭრიანით, სამხრეთ აფრიკაში კი — რვანაჭრიანით. ესენი თავიანთ არჩევანს ხსნიდნენ იმით, რომ იქაურ ხისტსფრიან მოედნებზე რვანაჭრიანი ბურთი მეტხანს ინარჩუნებდა ფორმას.

ლეგენდარული ზელანდიელი მცველი და ბურთის კარში დამრტყმელი დონ კლარკი 1960 წლის სამხრეთაფრიკული ტურნესთვის რომ ემზადა, მთელი ზაფხული თურმე იქაური, რვანაჭრიანი ბურთით ივარჯიშა. და აი, ზედ ტურნეს წინ შეიტყო, რომ მთელს მსოფლიოში ერთნაირი სტანდარტი — ოთხნაჭრა ბურთი შემოეღოთ.

1991 წლის მსოფლიო თასის წინ დიდი სიახლე დაინერგა — ტყავისგარსიანი ბურთი შეიცვალა ახლებურით, რომლის გარსიც სინთეტური მასალისგან იყო დამზადებული. ასეთი ბურთი მსუბუქიცაა და არც ტალახსა და წყალს იკარებს, მაგრამ დამრტყმელებს თავიდან, ცოტა არ იყოს, თვალში ვერ მოუვიდათ, თუმც დღესდღეობით სინთეტური ბურთები რაგბის განუყოფელი ნაწილია.

პირველ მსოფლიო თასზე, 1987 წელს, „მაიტრის“ ბურთებით თამაშობდნენ, მეორეზე — „ადიდასით“, წლევანდელ, მესამე მსოფლიო თასზე კი — „ჯილბერტით“.

თამაშის წესებში ბურთის მოყვანილობის, აღნაგობის, ზომების, წონისა და ბუშტისშიდა წნევის აღწერილობას მთელი მეორე თავი ეძღვნება.

საქართველოში პირველ რაგბის ბურთს, უეჭველია, ჩვენში ამ თამაშის დანერგვისთანავე შემოიტანდნენ. ქართული რაგბის ერთ-ერთი ვეტერანის, ფილოსოფიის ლექტორ დავთ თაქთაქიშვილისგან გაგვიგია, რომ ფრანგმა თერძმა ჟაკ ასპეკანმა ქართველები რაგბს ფრანგული, და აქედან გამომდინარე, ექვსნაჭრიანი ბურთით აზიარა, მერე კი თბილისელ ხარაზებს რუხი ტყავისგან შეაკერინა ოვალური გარსი, რომელშიც ფუბბურთის ბუშტი ჩადო.

აზიელი მორაგბეებიც „ჭილბერტის“ ბურთებს ეტანებიან

მას აქეთ საქართველოში ბურთები უცხოეთიდან შემოაქვთ. ჩვენებს უთამაშიათ ინგლისური, ინდური, პოლონური, ფრანგული, ავსტრალიური, ლენინგრადული ბურთებით. 1972 წელს თბილისის ერთ-ერთმა ფაბრიკამაც აითვისა რაგბის ბურთის გამოშვება, მაგრამ რამდენიმე წელში თავი ანება, რადგან ნაწარმი უხარისხო იყო და რაგბის არა-მასიურობის გამო ცუდადაც საღდებოდა.

1991 წელს ქართული რაგბის მაშინდელმა თავკაცმა დ. კილასონიამ ერთ-ერთ თბილისურ საწარმოს ისევ შეაკერინა რაგბის ბურთი; საცდელი ნიმუში უწინდელზე ბევრად უკეთესიც გამოვიდა, მაგრამ საქმეს თავი მაინც ვერ დაედგა.

სამაგიეროდ, დაახლოებით იმავე ხანებში რუსთაველის გამზირზე, ოპერის გადაღმად მდებარე სპორტსაქონლის მაღაზიაში გამოჩნდა ნაქსოვი, სასუვენირო რაგბის ბურთები, რომლებზეც უცხოურად იყო ამოქარგული გამოჩენილი ქართველი მოთამაშეების გვარები. ამ უნიკალური ბურთების წარმომავლობაში გაგვარკვია წერილმა, საქართველოს რაგბის კავშირის არქივში რომ ინახება — ისინი მოუქსოვიათ კერძო რეწვის საწარმო „კერეონში“.

მას აქეთ რაგბის ბურთებით ქვეყნის მომარაგებას უკეთესობა დაეტყო. წელს ჩვენი რაგბის ახალმა ხელმძღვანელობამ სამხრეთ აფრიკაში შეიძინა ბურთები და გუნდებს მუქთად ჩამოურიგა.

ქართული რაგბის ახლანდელი ხელისუფლები საბავშვო ქალაქ „მზიურში“ რაგბის ცენტრის მოწყობას გეგმავენ. იქ უთუოდ გაიხსნება ეროვნული რაგბის მუზეუმიც. ამიტომ უპრიანად მიგვაჩნია, მოვიძიოთ ის პირველი რუხი ბურთი, საქართველოში რომ შეიკერა. ვინძლო, გადარჩენილიყოს!

უცხოური და ქართული წყაროების მიხედვით მოამზადა

ანი გოგიჩარაშვილმა

ძმლეოსნობა

მოუზეს კიპტანი

საერთაშორისო ფედერაციის

(იაიფ) გრან-პრის ფინალის წინ ვაჟთა შეჯიბრში დაწინაურებულიყო კენიელი მოუზეს კიპტანეი, ქალებისაში კი — მოზამბიკელი მარია მუტოლა. კიპტაუნი 3000 მეტრზე წინაღობებით რბენაში გამოდის გრან-პრიზე, ისე კი თითქმის ყველა საშუალო თუ გრძელ დისტანციაზე დარბის. რაც შეეხება მუტოლას, მისი სპეციალიზაცია 800 მეტრზე რბენაა.

კიპტანეის აბსოლუტური ჩემპიონობისათვის თავის სახეობაში სამეულში მოხვედრაც ეყოფოდა, მაგრამ დიდმა სპორტსმენმა აწლახნს დამყარებულ თავისსავე, უნიკალურ, 8 წუთზე ნაკლებ (!) მსოფლიო რეკორდს შეუტია. კენიელის შედეგი ამჯერად 8.02,45 იყო, რაც რეკორდზე 3 წამით უარესია, მაგრამ მოუზესმა ჯილდოდ მაინც მიითვალა 130 ათასი დოლარი.

ორგანიზატორებს ზოგი სახეობა საგანგებოდ დამატებინათ, ვინაიდან ცნობილ მძლეოსანთა ასპარეზობას ვარაუდობდნენ. მართლაც, 1500 მეტრზე ნურადინ მორსელიმაც (ალჟირი) შეუტია თავისსავე მსოფლიო რეკორდს (3.27,37). ნურადინი ჯერ ძმამ — ალიმ გააქანა, მერე რუსმა შიბუნინმა იკიხრა ლიდერობა, ბოლოს კი მორსელის ამერიკელი ჰოლმანი გამოეკიდა. ალჟირელი ისე მირბოდა, რომ სარეკორდო გარბენის გრაფიკს აშკარად უსწრებდა, მაგრამ ეტყობა, ზედ ფინიშზე ველარ ივარგა და რეკორდს ერთი წამით გადამეტა. ასე დაკარგა 50 ათასი.

100 მეტრზე რბენაც დამატებული ნომერი იყო. იგი სენსაციურად დასრულდა. ფოტოფინიშით გაიმარჯვა ავსტრალიელმა დამიენ მარშმა 10,13. მეორე მსოფლიო ჩემპიონი დონოვან ბეილი (კანადა) იყო (10,13), მესამე — ამერიკელი ჯონ დრამონდი (10,14), ბრიტანელი ლინფორდ ქრისთი კი მეხუთე ადგილზე დარჩა.

სეზონის ლიდერებს სხვა სახეობებშიც აჯობებს. სამხრეთაფრიკელმა ოკი ბრიტცმა ჭოკით ხტომაში ისევ დაამარცხა სერგეი ბუბკა (უკრაინა), თანაც იმავე სხვაობით (595 — 590), 110 მეტრზე თარჯრბენში მარკ კრიერმა (13,07) აჯობა მსოფლიოს ჩემპიონ ალან ჯონსონს (აშშ) და 30 ათასიც მიითვალა, დანიელი ექს-კენიელი ვილსონ კიპკიტერი კი 800 მეტრზე რბენაში ერთი მეასედი წამით დაამარცხა კენიელმა ბენსონ კოეჩმა, ვისი შედეგიცაა 1.45,72.



მარია მუტოლა

მონტე-კარლოში კიდევ ორმა ოქროს მხვეჭელმა — გვენ თორენსმა და მაიკლ ჯონსონმა გაიმარჯვეს. ორივემ 200 მეტრი მოიგო. თორენსის დროა 22,20, ჯონსონისა — 19,93. 400 მეტრზე ქალთა თარჯრბენი მოიგო ამერიკელმა ქიმ ბათენმა (53,49). რუსებმა ორ სახეობაში გაიმარჯვეს: დმიტრი შევჩენკომ სხვებზე შორს გატყორცნა ბადრო (67,94), ანა ბირიუკოვა კი სხვებზე შორს გადახტა სამხტომით (14,99). დიდი გარბენი გაიმართა 3000 მეტრზე: კაფანდარა ბურუნდელი ვენუსტი ნიანგაბო სულ უსწრებდა ეთიოპ ჰაილე გებრესილასეს, მაგრამ ჰაილემ ზედ ფინიშზე მაინც აჯობა 7.35,09.

გაისად ჰონორარები მოიმატებს. აბსოლუტურ ჩემპიონებს 200-200 ათასი ერგებათ, ცალკეული სახეობების გამარჯვებულებს — 50-50 ათასი, ფინალში მსოფლიო რეკორდის დამყარება კი 100 ათასი ეღირება.

რეზო ნემსაძე

ზანგებს — 130-130 ათასი $

ფინალი 9 სექტემბერს გაიმართა მონტე-კარლოში. თითოეულ სახეობაში ევროპაში გამართული ტურნირების შედეგთა დაჯამებით გამოვლენილი რვა-რვა დაწინაურებული მონაწილეობდა. ამა თუ იმ სახეობაში გამარჯვებული 30 ათას დოლარს იღებდა, ცალკე ვაჟთა და ცალკე ქალთა აბსოლუტური ჩემპიონი — 100 ათას დოლარს, ფინალში მსოფლიო რეკორდის დამყარება კი 50 ათას დოლარად ფასობდა. აბსოლუტური გამარჯვებულის გამოსავლენად იაიფ-ს მოეფიქრებინა რთული სისტემა, სხვადასხვა სახეობის შედეგთა შედარებას რომ ხდის შესაძლებელს.

ფეხბურთი

მეათასე მოგება მეცხრე სეზონში

ცნობილი იტალიელი მხედარი ფრანკი დეტორი ამ ერთი თვის წინ ცხენიდან კი ჩამოვარდა და ჩაფხუტი რომ არ ხურებდა, უთუოდაც დაიღუპებოდა, მაგრამ წინა შაბათს იშვიათ წარმატებას მაინც მიაღწია: თუმც ბრიტანეთის იპოდრომებზე ოდენ 1987 წლიდან ასპარეზობს, უკვე 1000 გამარჯვება მოუპოვებია. დეტორიმ შაბათს მოიგო სეზონის ბოლო კლასიკური დოღი, ე.წ. სენთ-ლეჯერი, იმ დღეს დონკასტერში 219-ედ რომ ჩატარდა. ფრანკი სულ რაღაც ერთი დღით ადრე ამხედრებულიყო ბედაურ „ლასიკ კლიშეზე“, მაგრამ ისე გააჭენა, რომ ყველას აჯობა.

ემზარ არაყიშვილი

ცხენოსნობა

აქეთური, იქითური

პაკისტანის კრიკეტის მაჯამ — ორიფ ალი ანასიმ ნაკრების კაპიტანეფიფი სალიმ მალიქი არ შეაყვანინა გუნდში, შრილანკას სამტესტიან სერიაში შინ რომ ეჭიბრება. სალიმს მეტოქის მოქრთამვის მცდელობა ბრალდება.

*

ფრენკ ბრუნოთან დამარცხებულ ოლივერ მაქკოლი დოინგ ფონტროფის წესების დარღვევა დაბრალდა, ან უკვე ექს-ჩემპიონს მსინჯავებისთვის შერკინების შემდეგ კი მოუშარდავს, მაგრამ შერკინებამდე უარით გაუსტუმრია. კრივის მსოფლიო საბჭომ მაქკოლს დროებითი დისკვალიფიკაცია მისცა. მოკრივე სასამართლოში აპირებს ჩივილს.

*

შაბათს ირლანდიის ქალაქ ქორკში იქაურმა სთივ ქოლინზმა ისევ დაამარცხა ერთი ხანობა უძლეველი ბრიტანელი ქრის იუბენქი. ეს ზესაშუალო წონის მოკრივეები კრივის მსოფლიო ორგანიზაციის (ვბო) ვერსიით ამ ნახევარი წლის წინ უკვე შეებნენ ერთმანეთს. მაშინ ქოლინზმა ქულებით ერთხმად გაიმარჯვა და მეტოქეს ტიტული წაართვა, ამჯერად კი მსაჯთა აზრი გაიყო: ორმა 2-2 რაუნდით ქოლინზს დაუჭირა მხარი, მესამე კი ერთი რაუნდით იუბენქის სასარგებლოდ დაითვალა. ირლანდიელმა მეტოქეს აგრესიით აჯობა, თორემ იუბენქის დარტყმები უფრო ხარისხიანი ყოფილა. მეშვიდე რაუნდში ქოლინზს წარბიც კი გაუსკდა, მაგრამ რინგის კუთხეში მისმა ჰიპნოზიორმა იმარჯვა და სასწრაფოდ შეუხორცა. ირლანდიელი ახლა ვერსიათა შესაჯერებელ შერკინებაში კრივის მსოფლიო საბჭოს (ვბკ) ჩემპიონ ნაიჯელ ბენს ერკივება.

*

შარშან, იმოლაზე ტრაგიკულად დალუპული ბრაზილიელი ავტომრბოლის აირტონ სენას ფონდში იმდენი ფული მოგროვილა, რომ სენას დედა მას ქველმოქმედებას მოახმარს — ქვეყნის დამშეულ ბავშვების გამოკვების პროგრამას შეაწევს.

*

ფუკუოკაში (იაპონია) გამართული უნივერსიადის დახურვას „ტოკიო დოუმში“ 40 ათასი მოსეირე კი დაესწრო, მაგრამ თვით შეჯიბრმა მსოფლიო მედიის ყურადღება მაინც ვერ მიიპყრო, თუმც 162 ქვეყნის 4 000 სპორტსმენი 12 დღე ეჯიბრა ერთმანეთს. ცურვასა და მძლეოსნობაში ერთი მსოფლიო რეკორდიც არ დამყარებულა, რაკიღა შეჯიბრში მსოფლიო დონის ვარსკვლავთაგან არავინ ჩაბმულა. ამას გული ვერ გაუტეხია იტალიელი პრიმო ნებიოლოსთვის, ვინაც საუნივერსიტეტო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის თავკაცია. მისი აზრით, იდეალი ვარსკვლავებზე მნიშვნელოვანი ყოფილა. მასპინძლები გვარიანად დაიხარჯნენ — შეჯიბრებას სამი მილიარდი დოლარი მოახმარეს, მაგრამ მატერიალური ხეირი ვერ ნახეს, რაც ნიშანდობლივი ყოფილა: 1987 წელს სან-პაულუს საერთოდ ვერ უმასპინძლია უნივერსიადებისთვის; 1991 წელს — შეფილდს, 1993 წელს კი — ბუფალოს გვარიანად უზარალოთ; ვერც 1997 წლის სავარაუდო მასპინძლის — სიცილიის პერსპექტივა ვარგებულა.

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის სამშაბათობითა და პარასკევობით. ინდექსი 66 441

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფიცხელია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
გია ახალაძე
ილია ბაბუნაშვილი
ზაალ გიგინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
ზურაბ მეძველია
მერაბ რატიშვილი
მამუკა ჩიხლაძე
(ტექნიკური რედაქტორი)

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29